

წმინდა ტბელ აბუსელიძის სახელობის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ და განათლების ფაკულტეტი

მიმართულება: განათლება

ეთერ სოლომონიძე

განმავითარებელი შეფასების გამოყენება

მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების ხარისხის
გაუმჯობესებისთვის

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის ხარისხის

მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

დედა ბარბარე (მეგრელაძე)

ანოტაცია

ეთერ სილომონიძის სამაგისტრო ნაშრომი განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. განხილულია აქტუალური პრობლემა.

პედაგოგიურ ლიტერატურასა და სასკოლო პრაქტიკაში მოსწავლეთა შეფასების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საკამათო პრობლემაა, სადაც თავის შეხედულებებს გამოთქვამს მშობელიც, მასწავლებელიც, მოსწავლეც, და საზოგადოების ყველა წევრი.

თეორიული მასალა განხილულია ისტორიულ ჭრილში. განერილია გზა რომელიც მოსწავლეთა შეფასებამ განვლო. უნიშნო, სიტყვიერი, შეფასება, 10 ქულიანი შეფასება, 5 ბალიანი შეფასება, 4 ბალიანი შეფასება. აღწერილია დანყებით საფეხურზე შეფასების თავისებურებანი, განხილულია განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლის ცოდნისა და უნარის პროგრესისათვის.

განალიზებულია განმავითარებელი შეფასებისადმი მოთხოვნები ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.

სასკოლო პრაქტიკაზე დაკვირვებით, კვლევების შედეგებით ნაჩვენებია განმავითარებელი შეფასების წარმატებული გამოცდილება და არსებული პრობლემები. უახლესი კვლევების და წყაროების შესწავლის საფუძველზე შერჩეულია მეთოდური (ინსტრუმენტები) ნაჩვენებია მათი გამოყენების ეფექტურობა.

კვლევის მიზნის მისაღწევად შერჩეული მეთოდები განაპირობებს კვლევის სანდოობას. გამოყენებულია ლიტერატურა-მეთოდური, საინფორმაციო, მასალები, განალიზებულია პრობლემასთან მიმართებაში.

Annotation

The bachelor theses using the development assessing for pupils to improve their achievement is discussed as an actual problem in pedagogical literature and school practice. The assessing of pupils is one of the main problem where everybody can say their ideas ,even parents, pupils, teachers and society.

The theory is discussed in historical point of view. It is given unmarked development assessing, 10 point, assessing of 5 point and assessing in primary school.

School practice monitoring shows the result how successfully works the developing assessing.

The method which is choosen for achievement of the aim of research will decide the validity of research. The literatureand the information which is used i discussed in point of problems

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი პირველი: I-VI კლასის მოსწავლეთა შეფასებისადმი ახალი მიდგომები	
§1. მოსწავლის შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.-----	13
§2. მოთხოვნები შეფასებისადმი სასწავლო საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.....	21
§2.1. შეფასება ქართულ ენაში.....	21
§ 2.2. შეფასება მათემატიკაში.....	25
§2.3. შეფასება ბუნებისმეტყველებაში.....	29
თავი მეორე: შეფასების ფორმების და მეთოდების გამოყენება მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების ხარისხის გაუმჯობესებისათვის	
§3. სასკოლო შეფასების ისტორიიდან.....	37
§4. განმავითარებელი შეფასების რაობისათვის.....	42
§5. განმავითარებელი შეფასების მეთოდები.....	46
§6. განმავითარებელი შეფასება სასკოლო პრაქტიკაში.....	53
დასკვნები რეკომენდაციები.....	59
გამოყენებული ლიტერატურა.....	61

შესავალი

პედაგოგიურ ლიტერატურასა და საკოლო პრაქტიკაში მოსწავლეთა შეფასების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საკამათო პრობლემაა. თავის შეხედულებებს გამოთქვამს მშობელიც, მასწავლებელიც, მოსწავლეც, საზოგადოების ყველა წევრი

მოსწავლეთა შეფასებამ რთული და ვრცელი გზა განვლო: სიტყვიერი, უნიშნო შეფასებიდან 10 ქულიან სისტემურ შეფასებამდე. მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა სრულყოფისათვის, მაგრამ პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება:

მოსწავლეთა შეფასება პედაგოგიური პროცესის უმთავრესი ნაწილია, რომელშიც ვლინდება არამხოლოდ მოსწავლის, არამედ მასწავლებლის და ზოგადად სკოლის პედაგოგიური კოლექტივის შრომის შედეგები.

მასწავლებელს მიჰყავს მოსწავლე არცოდნიდან ცოდნამდე, ჩნდება კითხვა: რით და როგორ შემოწმდეს და შეფასდეს მოსწავლის შედეგი.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსწავლეთა უნარების შემოწმება-შეფასება სისტემატიური ხასიათისაა, თუმცა ყოველგვარი შემოწმების მიზანი შეფასება როდია, რადგან ახალი მასალის ათვისება გაკვეთილზე არ მთავრდება, მისი დასწავლა გრძელდება საშინაო დავალების შესრულებისას და ცხოვრებაში გამოცდილების მიღებით.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების სწორად წარმართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კრიტერიუმების გამოყენებას, რაც ამცირებს სუბიექტურ დამოკიდებულებას. ჯერ კიდევ 1935 წლის 3 სექტემბერს საქართველოში მიღებული იქნა დადგენილება „ცოდნის ერთი და იგივე დონე“ ყველა სკოლაში ერთნაირად უნდა ფასდებოდეს. დადგინდა კრიტერიუმები ხუთ ბალიანი სისტემით

შეფასებისთვის. განისაზღვრა კრიტერიუმების ძირითადი მახასიათებლები: ცოდნის შინაარსი და ცოდნის გააზრებულობა, ცოდნის სიღრმე და სიზუსტე, ცოდნის სიმტკიცე, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევები.

ჩამოყალიბდა თითოეული ნიშნის გამოყენების აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა შეფასება მაინც სუბიექტური იყო. მოსწავლეებისა და მშობლებისათვის გაცნობილი არ იყო შეფასების კრიტერიუმები, მასწავლებლებიც ზოგადად იცნობდნენ. შეფასებაც თაქიურად მასწავლებლის შეხედულებით გადასაწყვეტი იყო.

საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ყველა რეფორმის საზრუნავი იყო შეფასების სისტემის დახვეწა-გაიმჯობესება. განსაკუთრებით მწვავედ დადგა საკითხი თანამედროვე პირობებში, როცა სკოლაში მიმდინარეობს პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, ფუნქციონირება დაიწყო ახალმა ეროვნულმა სწავლო გეგმამ, ახალმა სახელმძღვანელოებმა, სწავლების ახალმა მიდგომებმა.

თავდაპირველად განვიხილოთ შეფასების საჭიროება სხვადასხვა შეხედულების ინტერვიუების წყაროების ანალიზით მოკლედ წარმოგიდგინოთ ზოგიერთ ასპექტს:

რისთვის ჭირდება შეფასება მოსწავლეს? ცოდნის დონის განსაზღვრისთვის, ჩამორჩენის გამოსწორებლად, მშობლის კეთილგანწყობის შესაქმნელად, საკუთარი „მეს“ განსამტკიცებლად, შემდეგი წინსვლისათვის და ა.შ.

რას განიცდის მოსწავლე მაღალი შეფასებისას? ბედნიერია, თვითკმაყოფილია, უკეთესად სწავლის სურვილი აქვს, შექება და დაპირება ხშირად ანგარებიანს ხდის, მცირე კრაზიც მძიმე გადასატანია, ამაყია, ალმაცერად უყურებს სხვებს.

რას განიცდის მოსწავლე დაბალი შეფასებისას? არ სიამოვნებს გაკვეთილი, ხშირი საყვედურები ფსიქიკას უნგრევს, გულგრილია სასწავლო პროცესის მიმართ, სურს გამოასწოროს, თავი უნიჭო ჰგონია, უჩნდება შიში რომ ვერასოდეს ისწავლის, უჩნდება არასრულფასოვნების კომპლექსი, შურით უყურებს წარჩინებულებს, უმაღლავს მშობლებს წარუმატებლობას, არ უყვარს მასწავლებელი.

რას განიცდის მშობელი შვილის დაბალი შეფასებისას? წუწუნებს, განაწყენებულია მასწავლებელზე, ეკამათება სხვა მშობელს, აუგად იხსენიებს სკოლას, სჯის თავის შვილს, ნერვიულობს, ეხმარება ჩამორჩენის დაძლევაში, თანამშრომლობს

მასწავლებელთან, (იშვიათი გამონაკლისი) უფროთხილდება და არ სჯის ბავშვს, აგრესიულია მასწავლებლის მიმართ, გადაჰყავს შვილი სხვა სკოლაში.

როგორც ჩანს შეფასებას მეტი უსისმოვნება მოაქვს ვიდრე კმაყოფილება, ამიტომ შეფასებისადმი დამოკიდებულება დიდ სიფრთხილეს საჭიროებს.

რა არის ახალი სისტემის მოთხოვნები შეფასებისადმი? შეფასების კრიტერიუმების გაცნობიერება, აზროვნება, შემოქმედებითობა, პრეზენტაცია, დავალების შესრულების ხარისხი, საგნის ცოდნის, წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის უნარი, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, შექნილი ცოდნისა და უნარების დემონსტრირება, შემაჯამებელი სამუშაო, მოსწავლის პორტფოლიო და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმით ჩამოყალიბებულია შეფასების ძირითადი პრინციპები: სანდობა, ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა.

შეფასების ძირითადი პრინციპებია:

სანდობა. შეფასება სანდოა იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების შედეგები იდენტურია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ სად ან როდის აფასებს მოსწავლის მიერ ერთი და იმავე საკითხის ცოდნას. შეფასება სანდო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს.
- ერთი მასწავლებელი ერთიდაიმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს.

შეფასების სანდობას უზრუნველყოფს მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხები და დავალების ინსტრუქციები, ზუსტად განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და გამსწორებლის კვალიფიკაცია.

ვალიდურობა. შეფასება ვალიდურია ანუ მიზანთან შესაბამისი, როდესაც მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად. მაგალითად, თუ შეფასების მიზანია კომუნიკაციის დროს კონკრეტული ლექსიკური ერთეულების გამოყენების უნარის შემოწმება, ხოლო დავალება მიმართულია გრამატიკის შეფასებაზე, მაშინ ამ დავალებით თავდაპირველ უნარს ვერ გავზომავთ და შეფასებაც არავალიდური ანუ მიზანთან შეუსაბამო იქნება

ობიექტურობა. შეფასება ობიექტურია იმ შემთხვევაში როდესაც შეფასების შედეგები არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებებზე ამისათვის კი აუცილებელია რომ, შეფასების კრიტერიუმი და სქემები იმდენად მკაფიო და ცალსახა იყოს, რომ სუბიექტური გადაწყვეტილებისთვის ადგილი არ რჩებოდეს.

გამჭვირვალობა. შეფასება გამჭვირვალე ანუ ღიაა იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები ცნობილია ყველა დაინტერესებულ პირათათვის, პირველ რიგში კი მოსწავლეებისთვის. შესაძლებელია, რომ მოსწავლეები თავადაც იღებდნენ მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების დადგენაში და შეფასების სქემების შემუშავებაში. ამით მათ საკუთარი ცოდნის შეფასების მიმართ სამართლიანობის გრძნობა უყალიბდებათ, შეფასების პროცესი კი გამჭვირვალობას იძენს.

შეფასებისთვის საჭიროა შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა. კრიტერიუმი (ბერძნ.) მსჯელობის, გადაწყვეტის საშუალებაა. ნიშან-თვისება, რომლის მიხედვითაც რასმე აფასებენ, განსაზღვრავენ, კლასიფიკაციას ახდენენ, საზომი (უცხო ენათა ლექსიკონი, თბილისი 1989.263).

შეფასების ეს პრინციპები საერთოა ყველა საფეხურისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შეფასებისადმი მიტხოვნები სამივე საფეხურზე არის განსხვავებული. რამდენადაც საბაკალავრო განათლებით ვარ დანყებითი განათლების პედაგოგი და ვმუშაობ ამ მიმართულებით, კარგად ვხედავ შეფასების პრობლემებს ამ საფეხურზე (საკვლევე სფეროდ ავირჩიე დანყებითი კლასები).

მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში პრეზენტაცია მოვამზადე მოსწავლეთა შეფასებასთან მიმართებაში, გავეცანი წყაროებს, ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი მასწავლებლად და ბევრჯერ დადგა ჩემს წინაშე შეფასების საკითხი, ვეძებდი უკეთესი შედეგების გზებს. აღნიშნულმა განაპირობა საკვლევი თემით ჩემი დაინტერესება.

კვლევის მიზანი:

მოსწავლეთა მიღწეული შედეგების გაუმჯობესებისათვის განმავითარებელი შეფასების ეფექტური ფორმებისა და მეთოდების შერჩევა და გამოყენება.

კვლევის ამოცანები:

1. I-VI კლასებში მოსწავლეთა შეფასების ახალი მიდგომების ანალიზი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.
2. მიღწეული შედეგების გაუმჯობესებისათვის განმავითარებელი ფორმების და მეთოდების შერჩევა, მათი გამოყენების პროცესის აღწერა.
3. სასკოლო პრაქტიკაში განმავითარებელი შეფასების ვითარების შესწავლა.

კვლევის მეთოდები:

სასწავლო პროცესზე დაკვირვება, ნამუშევრების შედარებითი ანალიზი, სამაგიდო კვლევა, ინტერვიუ და ჩაღრმავებული ინტერვიუ.

კვლევის მატერიალურ ტექნიკური ბაზა:

უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, აჭარის ცენტრალური ბიბლიოთეკა, განათლების მუზეუმი, ზემო აჭარის საჯარო სკოლები, ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლა.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების პრობლემა განხილულია ისტორიული და უახლესი მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე. შერჩეულია და აღწერილია ახალი ფორმები და მეთოდები, აღწერილია მათი გამოყენების შესაძლებლობა.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:

ნაშრომში მასალები წარმოდგენილია განმარტების, ნიმუშების სახით, რაც საშუალებას იძლევა მისი პრაქტიკულად გამოყენებისათვის.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა:

ნაშრომში განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული მასალები წარმოდგენილია ისტორიულ ჭრილში, რაც ხელს უწყობს უახლესი მოთხოვნების და მიდგომების მნიშვნელობის და ეფექტურობის უკეთ გააზრებას და ამაღლებს პასუხისმგებლობას შესრულებისათვის.

კვლევის მეთოდების პრაქტიკულად გამოყენების სფერო:

წარმოადგენს განათლების ბაკალავრის სტუდენტი, მაგისტრი, მოქმედი მასწავლებლები.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება: შესავლის, ორი თავისა, ექვსი პარაგრაფის, დასკვნისა და ლიტერატურის დასახელებისაგან.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

პირველი თავის „ მოსწავლის შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით“ პირველ პარაგრაფში განხილულია 2018 წლის I-VI კლასების შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.

მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი, იგი მთავარი პირობაა თანმიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად. ასევე ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია შეფასების ორი სახე: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. აქვე განხილულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა.

მეორე პარაგრაფი შეფასების საკითხი განხილულია სასწავლო გეგმის მიხედვით. მოცემულია შეფასების სისტემა ქართულ ენაში. ასევე მოცემულია კონკრეტული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები და რეკომენდირებულია შესაფასებელი უნარ-ჩვევები. აქვე მოცემულია ქართული ენის შეფასების კომპონენტები: მიმდინარე საშინაო და საკლასო. აღწერილია თუ როგორ შევაფასოთ მოსწავლის უნარ-ჩვევები.

მოცემულია შემაჯამებელ დავალებათა ტიპები და მოთხოვნები რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები.

1.2 პარაგრაფი „შეფასება მათემატიკაში“. განსაზღვრულია მათემატიკის სწავლების ამოცანები განხილულია მათრმატიკური დავალებების შეფასების კომპონენტები. მათემატიკურ საგნობრივ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია ოთხი მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები, გეომეტრია და სივრცის აღქმა, მონაცემთა ანალიზი, სტატისტიკა ალბათობა, კანონზომიერება და ალგებრა. და განხილულია თითოეული მათგანი. მოცემულია უნარ-ჩვევები, რის მიხედვითაც ფასდება მოსწავლე დანყებით კლასებში.

1.3 პარაგრაფი „შეფასება ბუნებისმეტყველებში“. მოცემულია ბუნებისმეტყველების სწავლების მიზანი და ამოცანები. საგანი ბუნების მეტყველება აერთიანებს ცოდნას: ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და დედამიწადმცოდნეობის სფეროებიდან. იგი მოიცავს 4 მიმართულებას: მეცნიერული კვლევა-ძიება, ცოცხალი სამყარო, სხეულები და მოვლენები, დედამიწა და გარესამყარო და აღწერილია თუ რას შეისწავლის თითოეული.

აქვე მოცემულია ბუნებისმეტყველების შეფასების კომპონენტები: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება.

მეორე თავის „შეფასების ფორმებისა და მეთოდების გამოყენება მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების ხარისხის გაუმჯობესებისათვის“ პირველ პარაგრაფში განხილულია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შეფასება განათლების სისტემაში. ასევე მოცემულია ინფორმაცია, თუ რა გზა განვლო შეფასებამ დროთა განმავლობაში. აქვე მოცემულია შეფასების სისტემაში განწყობის როლსა და მნიშვნელობაზე დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით. აქვე განხილულია შალვა ამონაშვილის შეფასების სისტემის ახლებური ხედვები.

მეოთხე პარაგრაფი „განმავითარებელი შეფასების რაობისათვის“. მოცემულია მიზნები, რომელსაც ისახავს განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატიები, მოსაზრებები, შემოთავაზებული პრაქტიკული გამოცდილებები. აქვე მოცემულია მიდგომები, რომელიც ეხმარება

მასწავლებელს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული გაკვეთილის დაგეგმვაში. ასევე განხილულია მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობის შესახებ.

მეხუთე პარაგრაფში „განმავითარებელი შეფასების მეთოდები“. აღწერილია მეთოდები რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასებისას. მეთოდები: 1) შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები 2) სწრაფი წერიტი სამუშაო 3) დაფიქრდი, დანყვილდი, გააზიარე 4) კითხვის დასმა 5) გამოსათვლელი ჩხირები 6) ქვიზი 7) სიტყვის რუკა. მეექვსე პარაგრაფში „განმავითარებელი შეფასება სასკოლო პრაქტიკაში“ განხილულია, დანყვითი საფეხურის I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში მოსწავლეთა ცოდნის და უნარების შეფასება. როგორც აღვნიშნეთ არის განმავითარებელი. განმავითარებელი შეფასების პრაქტიკულად გამოყენების მიზნით ჩავატარე კვლევა. კვლევის მიზანი იყო I-IV კლასებში განმავითარებელი შეფასების გამოყენების ვითარების შესწავლა. კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო დანყვითი კლასები, სულ 24 კლასი, მათ შორის I, II, III, IV, კლასის მოსწავლეთი. აღწერილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევა.

კვლევის შედეგების მიხედვით დანყვითი საფეხურის სკოლა სიახლეების დანერგვის პროცესშია, მასწავლებლებს უკეთესად მუშაობა სურთ, საამისოდ ეძებენ ახალ გზებსა და ინსტრუმენტებს.

თავი პირველი

I-VI კლასის მოსწავლეთა შეფასებისადმი ახალი მიდგომები

§1. მოსწავლის შეფასების სისტემა ეროვნული საწავლო გეგმის მიხედვით

2018 წლიდან I-VI კლასში ამოქმედდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა I-VI კლასებისათვის, რომელშიც განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სიტემა ზოგადი მოთხოვნებით, ხოლო სასწავლო საგნების გეგმებში საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

თავდაპირველად განვიხილავთ ზოგად მოთხოვნებს, რომელიც ყველა საწავლო საგნის მასწავლებლის მიერ არის გასათვალისწინებელი.

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანი. სწავლა სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს ერთი მხრივ სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრამის შესახებ.

მოსწავლის შეფასება არის სწავლა სწავლების განუყოფელი ნაწილი. იგი მთავარი პირობაა თანმიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად.

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლისათვის ცოდნის მიწოდების პროცესი და მესხიერებაში ცოდნათა ურთიერთ დამოკიდებულება, ცოდა და წარმოდგენები, გამოავლინოს რამდენად ახერხებს მოსწავლე, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას, რამდენად შეუძლია საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასება, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად.

შეფასებას ექვემდებარება ცოდნის სამივე კატეგორია:

1. **დეკლარაციული.** რომელიც გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვაზე :**რა ვიცი-?**

2.**პროცედურული.**რომელიც არის დინამიკური და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას და პასუხობს კითხვას :**როგორ გავაკეთო-? როგორ შევასრულო?**

3.**პირობისეული.**რომელიც გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა ვითარებაში ცოდნის შესაბამისად გამოყენებას და პასუხობს კითხვას :**როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?**

ცოდნის კატეგორიის მიხედვით შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია შეფასება იმისა, თუ რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობად ფუნქციურად გამოყენებას.

ძირითადი სასწავლო ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, საზროვნო შინაარსის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება უბიძგებს მოსწავლეს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინსტრუქციულად გამოყენებისაკენ.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების ორი სახე :**განმსაზღვრელი და განმავითარებელი.**

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით.

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

შეფასების ეს ორი სახე იყო ძველ ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც. სიახლე არის შეფასების აღწერილობაში. დაემატა წარმატების კრიტერიუმები, შემფასებელი და შეფასების ფორმები, მკაფიო გახდა შეფასების მიზნები და ამოცანები, რითაც შეფასების ფორმების არჩევანის გაკეთება მიზნობრივი გახდა და გაადვილდა.

საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის ნაშრომში უცვლელად ჩაერთე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობა ეროვნული სასწავლო გეგმის 29-ე მუხლის შესაბამისად.

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუნჯობესება, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთკავშირების პროცესის შეფასება. წინარე ცოდნის წარმოდგენების დადგენა მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება. მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯის გადადგმის უნარის შეფასება. ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება. ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთკავშირების უნარის შეფასება. ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება. ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/დონესთან შედარებით	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით.
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი, უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.	მასწავლებელი: ქულა, (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსწორებელი

	მოსწავლეები:თვითშეფასებ ით ურთიერთშეფასებით	მითითებებით.
--	--	--------------

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება 10 ქულიანი სისტემი ხუთი დონის მიხედვით

- მაღალი -9 -10 ქულა
- საშუალოზე მაღალი-7-8 ქულა
- საშუალო- 5-ქულა
- საშუალოზე დაბალი-3-4 ქულა
- დაბალი-1-2

შეფასება დანყებით საბაზო და საშუალო საფეხურზე განსხვავებულია. I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება.

ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მანავლებლები წერენ მოსწავლის მოკლე წერილობით შეფასებას, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მოიუთითებს რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელი საკუთარი და მანავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე IV კლასის ბოლოს განერს შემაჯამებელ წერილობით შეფასებას.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XXII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება.მოსწავლე ფასდება 10 ქულიანი სისტემით ყველაზე დაბალი ქულა არის 1 ხოლო ყველაზე მაღალი ქულა 10.

მოსწავლე სემესტრის განმავლობაში შეფასდება სამი კომპონენტის მიხედვით:

- 1.მიმდინარე საშინაო დავალება.
- 2.მიმდინარე სასკოლო დავალება.
- 3.შემაჯამებელი დავალება.

განმავითარებელი შეფასების გამოიყენება შეიძლება სემესტრის განმავლობაში ნებისმიერ კომპონენტში, ხოლო განმსაზღვრელ შეფასება ფასდება შემდეგი კომპონენტებით:

ა)მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის II სემესტრი, VI-XXII კლასები.)

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XXII კლასები.

გ) შემაჯამებელი დავალება IV კლასის II სემესტრი VI- XXII კლასები.

I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. I-VI და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI- XXII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება.

რეკომენდირებულია დავალების კომპონენტებში კომპლექსური დავალებების გამოყენება მაგალითად: ესეს დანერა, პროექტის მომზადება ლაბორატორიული ცდის ჩატარება, რეფერატის დანერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვა .

ამგავარ დავალებებს მრავალმხრივი შეფასებისთვის მასწავლებელი შეიმუშავებს შეფასების კრიტერიუმებს.

V კლასის მეორე სემესტრიდან XXII კლასამდე განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა.

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ყველა შემაჯამებელი დავალება თუ მოსწავლე ვერ ასრულებს შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, მას აქვს დავალების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების ვადებსა და ჩატარების ფორმებს განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმა.

თითოეული მასწავლებელი ვალდებულია კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული დავალებების დოკუმენტაცია: შემაჯამებელი დავალების პირობა, დავალების ნომერი, დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი რომლის შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება, ასევე კრიტერიუმები, რითაც შეფასდება დავალების შესრულებული სამუშაოს ნიმუშები.

მიმოხილვის დროს ხშირად არის ნახსენები, რომ განმსაზღვრელი შეფასება იწყება V კლასის II სემესტრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი ცვლილებების

გამო იყო აზრთა სხვადასხვაობა . ახალი გეგმის ავტორები ასაბუთებდნენ , რომ ვინაიდან პირელ მეოთხე კლასში არ არის ქულებით შეფასება, დაკვირვების შედეგების მიხედვით, მოსწავლეებს უჭირთ პირდაპირ ქულებიან შეფასებაზე გადასვლა, რაც ხშირად სწავლაში წარუმატებლობის მიზეზი ხდება.

აღნიშნულ პრობლემებთან მიმართებაში ჩავატარეთ იტერვიუ, რომლის მიზანი იყო V კლასელთა კმაყოფილება უკმაყოფილების კვლევა. კვლევაში მონაწილეობდა სხვადასხვა სკოლის 28 მეხუთე კლასელი, მოსწავლეთა პასუხებიდან პრობლემის არსი სრულად ვერ წარმოჩნდა, რადგან ისინი ქულების გარეშე შეფასებას მიჩვეული არიან და მიიღეს როგორც ჩვეულებრივი პროცესი.

ამ პრობლემაზე კვლევა განვადრძეთ და მოვიძიეთ ისეთი მშობლები რომელთა უფროსმა შვილებმა გაიარეს მეხუთე კლასი წინა წლებში და ახლა უმცროსი შვილები ჰყავთ მეხუთე კლასში. მათთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მიღებული ცვლილება მიაჩნიათ სასარგებლოდ, კმაყოფილების საფუძველს ქმნის მოსწავლეთა ქულების გამო დაძაბულობის შფოთის თავიდან აცილება, სკოლაში წასვლა არ ეზარებათ, საგნის მასწავლებლის მუშაობით ნელნელა ეჩვევიან ქულებიან შეფასებას და ბავშვებმაც შეინარჩუნეს წინა წელს მიღებული შედეგებით გამოწვეული განცდა .

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებულია განმსაზღვრელი შეფასების სახეობები: ა) მიმდინარე ბ) საგნის სემესტრული ქულა, გ) საგნის წლიური ქულა მოცემულია ქულების გაანგარიშების წესი კლასის და საფეხურის დამთავრების წესები; გამოცდის ტიპები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება, გაცდენები, შინ სწავლების პირობები.

მიმოხილვიდან ცხადი ხდება, რომ მომავალ ექვს წელში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოქმედების ძირითად დოკუმენტში ეროვნულ სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი სიახლეებია. გეგმა უკვე ნახევარი წელია მოქმედებს, მაგრამ მაინც დავინტერესდით პრობლემებით: რამდენად ეფექტურად იყენებენ ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას დანწყებითი სკოლის მასწავლებლები და ჩავატარეთ კვლევა.

კვლევის მიზანი: ახალი სასწავლო გეგმის დანწყებითი კლასის მასწავლებელთა მიერ შეფასების ახალი რეკომენდაციების გამოყენების ეფექტურობის დადგენა.

სამიზნე ჯგუფი: დანწყებითი კლასების 32 მასწავლებელი

კვლევის მეთოდები: ანონიმური გამოკითხვა წერილობით, ინტერნეტით.


კვლევის ჩატარების დრო: 2019 წლის თებერვალი.

გამოითხვის შეკითხვები:

1. იცნობთ თუ არა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით რეკომენდირებულ შეფასების ფორმებს და მეთოდებს?

- ა) ვიცნობთ საფუძვლიანად
- ბ) არ ვიცნობთ საფუძვლიანად
- გ) თავს შევიკავებთ

კვლევის შედეგები იხილეთ დიგრამა 1




- ა) ვიცნობთ საფუძვლიანად- 51 %
- ბ) არ ვიცნობთ საფუძვლიანად-34%
- გ) თავს შევიკავებთ-15%

2. რაში ხედავთ ახალი რეკომენდაციების ეფექტურობას?

- ა) სასწავლო მიზნით მიღწეულ შედეგებს უკეთ ზომავს.
- ბ) შეფასებაში ჩართულია მოსწავლეც.
- გ) ცვლილებებს ვერ ვხედავ.

კვლევის შედეგები დიაგრამა II



ა) მიღწეულ შედეგებს უკეთ ზომავ-28%

ბ) შეფასებაში ჩართულია მოსწავლე-20%

გ) ცვლილებებს ვერ ვხედავ-52%

მონაცემების შედეგების ანალიზის შემდეგ შევთავაზეთ შედეგების გაცნობა და შედეგების ირგვლივ დიალოგი. თანხმობა 28 იდან 21 რესპოდენტმა დიალოგის დროს გაირკვა, რომ ზოგადად რეკომენდაციებს იცნობენ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საგნების მიხედვით შეფასების გამოყენების საკითხმა, მიაჩნიათ, რომ ამ მიმართებით მეტი მეთოდური დახმარება და გარკვეულობა სჭირდებათ.

ამრიგად, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებითი კლასებისთვის განსაზღვრავს მოსწავლის შეფასების სისტემას, რომელშიც განთავსებულია შეფასების მარეგულირებელი წესები. შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც ერთი მხრივ გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ სწავლა-სწავლების მონიტორინგს.

შეფასების სიახლე არის მოსწავლის მერ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასება და საკუთარი წინსვლის ხელშეწყობაზე გონივრული ეფექტური საქმიანობის განხორციელება.

ძირითადი სასაწავლო ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ სააზროვნო შინაარსის დავალებებს, რომელიც მოსწავლეს პროგრესისაკენ აძლევს გზას.

შემოთავაზებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობა, რომელიც მოიცავს მიზანს, ამოცანებს, ნარმატების კრიტერიუმებს, შემფასებელსა და შეფასების ფორმებს- ეს არის მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც მიზანმიმართულია და გამოსაყენებლად იოლი და ეფექტური.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების საკითხთან მიმართებაში საგნის მასწავლებელთა კვლევა ადასტურებს, რომ მასწავლებლები იცნობენ ახალ გეგმას მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად თვლიან, მიაჩნიათ რომ სჭირდებათ მეტი მეთოდური და პრაქტიკული დახმარება ეფექტურად გამოყენებისთვის.

§2. მოთხოვნები შეფასებისდმი

სასწავლო საგნობრივი სტანდარტის მიხედვით

მასწავლებლებთან ჩატარებული დიალოგების დროს მოსწავლის შეფასების სისტემის ზოგადი საკითხების შედეგებთან დაკავშირებული კვლევების შედეგების განხილვისას დაისვა საკითხი სასწავლო საგნებში შეფასების ახალ ფორმებში მეტი მეთოდური დახმარებისა და გარკვეულობის შესახებ. ამის გათვალისწინებით საჭიროდ მივიჩნიეთ ნაშრომში ჩაგვეერთო შეფასებისადმი მოთხოვნები საგნების მიხედვით.

§2.1 შეფასება ქართულ ენაში

საგანმანათლებლო მიზნების მიხედვით ქართული ენის შესწავლა მოსწავლეებს უვითარებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, გამოუმუშავებს საკუთარი აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით გამოხატვის, სხვადასხვა ტექსტების გააზრებული

კითხვისა და შექმნის უნარს, ხელს უწყობს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას, უზრუნველყოფს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარებ შემოქმედებითი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს ქვეყნის წინსვლაში აქტიურად ჩაბმას, იქნება თავისი ქვეყნის მოყვარული, მამულიშვილი.

მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია კონკრეტული ამოცანები, რომლის რეკომენდირებულია შესათვასებელი უნარ-ჩვევები.

დანყებით კლასებში შეფასების კომპონენტებია: მიმდინარე, საშინაო და საკლასო.

შესაძლებელია შეფასდეს შემდეგი უნარ-ჩვევები:

- ✓ სვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება, გაანალიზება, შეფასება.
- ✓ ტექსტების ინტერპრეტირება.
- ✓ ტექსტების შედარებითი ანგარიში.
- ✓ თხრობა.
- ✓ მსჯელობა.
- ✓ სხვადასხვა სახის ტექსტების შეთხზვა.
- ✓ ზეპირი გამოსვლა, პრეზენტაცია.
- ✓ გამომეტყველებით კითხვა.
- ✓ გრამატიკული და ლექსიკური ცოდნა.
- ✓ მართლწერა.
- ✓ შემოქმედებითობა.
- ✓ სასწავლო სტრატეგიების (კითხვის, წერის, მოსმენის, ზეპირმეტყველების გააზრებულად გამოყენება).
- ✓ მხატვრული ხერხების ცოდნა
- ✓ ენობრივი-გამომსახველობითი ამოცნობა და გაანალიზება სასიცოცხლო უნარ-ჩვევები.
- ✓ შემოქმედებითობა.
- ✓ თანამშრომლობა (მეწყვილესთან ჯგუფის წევრებთან)
- ✓ სტრატეგიების გამიზნულად გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშესაწყობად.

- ✓ საწვავლო აქტივობებში ჩართულობა.
- უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:
- ✓ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.
- ✓ სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები.
- ✓ დიკუსიის მონაწილეობა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით.
- ✓ ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაციის მომზადება.
- ✓ სხვადსხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრა.
- ✓ სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობების შესრულება დამოუკიდებლად, მენწყვილესთან ერთად ან ჯგუფებში.
- ✓ სხვადსხვა სახის ტექსტების შექმნა დამოუკიდებლად მენწყვილესთან ერთად ან ჯგუფებში.
- ✓ პროექტის განხორციელება.

დანწყებით კლასებში განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია შემდეგი უნარ-ჩვევები:

- ✓ განაფულად კითხვა.
- ✓ გადაწერა.
- ✓ კარნახით წერა.
- ✓ შინაარსის გადმოცემა საკვანძო სიტყვებზე/ილუსტრაციაზე დაყრდნობით.
- ✓ ეპიზოდების თხრობა.
- ✓ შინაარსის ვრცლად და მოკლედ გადმოცემა.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ I-IV და V კლასის I სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის II სემესტრიდან გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტი, შემაჯამებელი დავალების კომპონენტი. იგი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში შეფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის(თემა,თავი, პარაგრაფი, საკითხი)შესწავლით მიღწეული შედეგი.

კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

- ტექსტის გაგება გააზრება.
- სხვადასხვა სახის ტექსტის შედგენა.
- არგუმენტირებული მსჯელობა კონკრეტული საკითხის /თემის შესახებ.
- ზეპირი მოხსენების წარმოდგენა.
- ესეს შედგენა.
- იმიტირებული სიტუაციის წარმოდგენა როლური თამაშით, მინი სპექტაკლით.
- გამომეტყველებით კითხვა.(ინდივიდუალური, გუნდური)
- ლიტერატურული სალონი.
- პროექტი.
- ზეპირი გამოსვლის აუდიო ან აუდიოვიზუალური ჩანაწერის მოსმენა და შეფასება.

მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალება:

- ყველა ტიპის დავალებას თან ახლავს შეფასების რუბრიკა (ტესტური დავალების შემთხვევაში თითოეულ ტესტურ კითხვას ახლავს შეფასების სქემა)
- ზოგადი რუბრიკით დაზუსტებული იქნება კონკრეტული დავალების პირობა.
- მითითებული იქნება სტანდარტის ის შედეგი, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

მოთხოვნები ეხება დანყებითი საფეხურს, გარდა ამისა ცალკეული კლასების მიხედვით რეკომენდირებულია დავალებათა აქტივობების ნიმუშები ჩამონათვალის სახით. იგი საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეათვასოს აქტივობის შედეგი ანუ სასწავლო მიზნის მიღწევის დონე/ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ დავალება/აქტივობების ნიმუში ჩამონათვალი მოცემულია ყველა მიმართულების მიხედვით ყველა კლასში.

მაგალითად III კლასში მიმართულება „ზეპირმეტყველება“

სტანდარტი 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი საკომუნიკაციო სიტუაციის ადეკვატური სამეტყველო ქცევის უნარის გამოვლენა.

ერთ-ერთი ინდიკატორია: გადმოსცემს ინფორმაციას ნანახის, წაკითხულის, განცდილის შესახებ. დავალება/აქტივობა: მოსმენილი წიგნს/მოთხრობის შესახებ თანაკლასელებისთვის შთაბეჭდილების გაზიარება.

IV კლასი: მიმართულება „კითხვა“

სტანდარტი 7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება/გაანალიზება. ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მინოდებული ინფორმაციის (ილუსტრაციის, ტექსტის) ერთიერთდაკავშირება. ერთ-ერთი ინდიკატორია: აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებს, თვისებების და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განძრახვების, განცდების შესახებ.

დავალება/ აქტივობები: პერსონაჟთა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ აზრობრივი რუკების შექმნა-გამოყენება. პერსონაჟთა დამახასიათებელი ადგილების (სიტყვები, ფრაზები, ეპიზოდები) მოძიება და გრაფიკულ სქემებში ორგანიზება.

V კლასი: მიმართულება „წერა“

სტანდარტი 12. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება. ერთ-ერთი ინდიკატორია: განსაზღვრავს წერითი ნამუშევრის მიზანსა და აუდიტორიას.

დავალება-აქტივობა: ერთსა და იმავე კონკრეტულ თემასთან /საკითხთან დაკავშირებული ტექსტის შედგენა ორი განსხვავებული ვერსიის სახით სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის პირებისთვის

§2.2 შეფასება მათემატიკაში

მათემატიკის ცოდნა ნიშნავს მათემატიკური ცნებებისა და პროცედურების ფლობას, მათი გამოყენების უნარს რეალური პრობლემის გადაჭრისას, აგრეთვე კომუნიკაციის იმ საშუალებების ფლობას, რომლებიც საჭიროა ინფორმაციის მისაღებად და გადასაცემად მათემატიკური ენისა და საშუალებების გამოყენებით.

მათემატიკის საგნობრის სასწავლო გეგმაში გამლოყოფილია ოთხი მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები, გეომეტრია და სივრცის აღქმა, რიცხვები და მოქმედებები, მონაცემთა ანალიზი, სტატისტიკა და ალბათობა, კანონზომიერება და ალგებრა.

ეს მიმართულებები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და მოიცავს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს ზოგადასაგანმანათლებლო სკოლაში.

დანყებით საფეხურზე მიმართულებაში „რიცხვები და მოქმედებები“ გათვალისწინებულია მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს არითმეტიკული მოქმედებებისა და მათი ადეკვატურად გამოყენების უნარი, არითმეტიკული მოქმედებების თვისებებისა და მათ შორის კავშირების გააზრება, არითმეტიკული მოქმედებების შედეგისა და რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის შეფასების უნარის განვითარება. გარდა ამისა მოსწავლეს ჩამოუყალიბდება, ათობითი პოზიციური სისტემის სრულყოფილი გაგება და მრავალნიშნა რიცხვებზე მოქმედებების შესრულების მისი გამოყენების უნარი. მთელის ნაწილების, ნახევრის, მესამედის, მეოთხედის, ალქმის მოდელეებზე დემონსტრირების კონსტრუირების და მათი შედარების უნარი.

მიმართულების „გეომეტრია და სივრცის აღქმის“ ძირითადი მიზანია: გეომეტრიული ობიექტების ურთიერთგანლაგების აღწერისა და დემონსტრირების უნარის განვითარება, გეომეტრიულ ობიექტთა კომპონენტების ამოცნობისა და მათი ურთიერთმიმართების აღწერის უნარის განვითარება, ატრიბუტების მიხედვით ფიგურათა დაჯგუფების, სიტყვიერი აღწერილობის მიხედვით ფიგურის ამოცნობისა და მისი მოდელის შექმნის უნარის განვითარება, ორ წერტილს შორის მანძილის შეფასებისა და სიგრძის სტანდარტულ ერთეულებში გაზომვის, მარშუტის აღწერისა და სქემატური გამოსახვის უნარის განვითარება.

მიმართულების „მონაცემთა ანალიზი ,ალბათობა და სტატისტიკა „ მიზანია: მოსწავლეები გაეცნონ აღწერითი სტატისტიკის ელემენტებს თვისობრივ და დისკრეტული რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების, მოწესრიგების, წარმოდგენისა .

მიმართულების „კანონზომიერებები და ალგებრა „ მიზანია:

- ✓ ინფორმაციის გადაცემის საკითხის არსის წარმოჩენა.
- ✓ კომპლექსური ამოცანის მარტივ ამოცანებად დაყოფა და ეტაპობრივად ამოხსნა.
- ✓ მათემატიკური მოდელირება.
- ✓ ამოცანის ამოხსნა, მოძებნა და მისი რეალიზება.
- ✓ გამოთვლების ოფტიმალური ხერხის შერჩევა. გამოთვლების შესრულების აკურ-ატულობა.
- ✓ დამხმარე ტექნიკური საშუალებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.
შეფასებას ექვემდებარება სასიცოცხლო უნარ-ჩვევებიც:
- ✓ შემოქმედებთობა
- ✓ თანამშრომლობა
- ✓ სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი
დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ უნარ ჩვევებს:
 1. რიცხვის ჩანერა და დასახელება
 2. არითმეტიკული მოქმედებების შესრულება და სიტყვიერი აღწერა
 3. გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და მათი აღწერა .
 4. ფიგურების კონსტრუირება.
 5. მანძილების გაზომვისა და განსაზღვრის ხერხის /საშუალებების ცოდნა და გაცნობიერება
 6. მიმართულებების, გადაადგილების და მარშუტის სიტყვიერი აღწერა და სქემატური გამოსახვა.
 7. ტერმინების „ყველა“ „ყოველი“ „თითოეული“ „ზოგიერთი“ „ერთ-ერთი“ „არცერთი“ „ერთადერთი“ გამოყენება რიცხვების თვისებების ან რიცხვთა ერთობლიობებს შორის მიმართებების დადგენას.
 8. მონაცემთა დალაგება, დაჯგუფება და კლასიფიკაცია მითითებული კრტიტერიუმების მიხედვით.
 9. საზომი ერთეულების (მანძილის, ღრის, ფულის ერთეულების) და მათ შორის მიმართების ცოდნა და გამოყენება.

დანყებითი საფეხურის I-IV და V კლასის პირველ სემესტრში მათემატიკაში შეფასება არის განმავითარებელი. V კლასის მეორე სემესტრიდან XII კლასამდე რეკ-ომენდირებულია როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასება.

განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტი შემაჯამებელი დავალება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში შეფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის შესწავლით მიღწეული შედეგი.

მათემატიკის სგანობრივი პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებებით შეფასდება მათემატიკის საგნობრივი პროგრამით განსაზღვრული შედეგები.

შემეჯამებელ დავალებათა ტიპებია:

- ✓ ტესტურ ამოცანასთან დაკავშირებული ღია ან დახურული ტიპის დავალება, რამდენიმე შესაძლო პასუხს შორის სწორი პასუხის შერჩევა, შესაბამისობის დამყარება, სწორი თანმიმდევრობით დალაგება.
- ✓ ტექსტის წაკითხვა და მონაცემთა ანალიზით (გამოთვლების ან ლოგკური მსჯელობის საფუძველზე მიღებული დასკვნის გადმოცემა და დასაბუთება (მათ შორის ისეთი ტექსტის, რომელიც შეიცავს დიაგრამებს და ცხრილებს)
- ✓ განტოლებების ამოხსნა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის თვისებების დადგენა, ზომების განსაზღვრა, ფიგურის აგება.
- ✓ ამოცანა, რომელშიც წინასწარ განსაზღვრული მონაცემების საფუძველზე მოსწავლეს მოეთხოვება მოცემული ფაქტის დასაბუთება ან უარყოფა (მაგ. თეორემების დამტკიცება).

მოთხოვნები რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

1. დავალებების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა.

2. ზოგადი რუბრიკა უნდა დამტკიცდეს კონკრეტული დავალების, პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით.

3. მითითებულია სტანდარტის ის შედეგები რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება

შეფასების ფორმა და შერჩევა სტანდარტის შესაბამისად მაგალითად: I კლასი მიმართულება „**რიცხვები და მოქმედებები**“.

სტანდარტი I მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთს შეესაბამოს რიცხვები, რიცხვის სახელები და რაოდენობები. ერთ-ერთი ინდიკატორია: კითხულობს და წერს რიცხვებს. შესაფასებელი უნარ-ჩვევაა რიცხვების ჩანერა და დასახელება.

განსაზღვრულია მათემატიკის სწავლების ამოცანები. სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად მოსწავლეთა შეფასებისთვის რეკომენდირებულია მათემატიკურ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს შემდეგი:

1. მათემატიკური შინაარსის ტექსტის (მათ შორის ისეთ ტექსტს, რომელიც შეიცავს დიაგრამისა და ცხრილების) წაკითხვას და მონაცემთა ანალიზს, გამოთვლების და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე მიღებული დასკვნის გადმოცემას და დასაბუთებას.
2. ამოცანა, რომელშიც წინასწარ განსაზღვრული მონაცემების საფუძველზე მოსწავლეს მოეთხოვება მოცემული ფაქტის დასაბუთება ან უარყოფა. (მაგ. თეორემის დამტკიცება)
3. რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა, განტოლების ამოხსნა, ასეთი გამოსახულებების გამარტივება, ამოცანის რამდენიმე პასუხს შორის სწორი პასუხის შერჩევა, შესაბამისობის დამყარება, მონაცემების მითითებული თანმიმდევრობით დალაგება.
4. გეომეტრიული ამოცანა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის თვისებების დადგენა, ზომების განსაზღვრა, ფიგურის აგება.
5. გრაფიკის ან დიაგრამის აგება, სივრცული ფიგურის ან მაკეტის დამზადება და სხვა.

მათემატიკური დავალების შეფასების კომპონენტებია:

- ❖ მათემატიკური ცნებებისა და დებულებების ცოდნა და გამოყენება.
- ❖ მათემატიკური ობიექტებს შორის კავშირებისა და მიმართებების დადგენა.
- ❖ მათემატიკური ობიექტების წარმოდგენა და მათემატიკური ენის ფლობა.
- ❖ მსჯელობა დასაბუთება.

§2.3 შეფასება ბუნებისმეტყველებაში

ბუნებისმეტყველების სწავლების მიზანია შეასწავლოს მოსწავლეს საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლები, განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს შეიცნოს და გაითავისოს სამყარო, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ. დანყებით საფეხურზე “ბუნებისმეტყველება“ ისწავლება როგორც ინტეგრირებული საგანი რომელიც აერთიანებს ცოდნას ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის და დედამიწაღმცოდნეობის სფეროებიდან. იგი მოიცავს ოთხ მიმართულებას:

1. მეცნიერული კვლევა ძიება
2. ცოცხალი სამყარო (ბიოლოგიის ელემენტები)
3. სხეულები და მოვლენები (ფიზიკისა და ქიმიის ელემენტები)
4. დედამიწა და გარესამყარო (დედამიწაღმცოდნეობისა და ასტრონომიის ელემენტები)

დანყებით საფეხურზე განსაზღვრულია თითოეული მიმართულების სწავლების მიზნები, ამოცანები, შინაარსი.

განსაზღვრულია აქტივობები. სხვა საგნობრივი გეგმისგან განსხვავებით აქტივობებში მოცემულია თითოეული სტანდარტის შესაბამისად. ნიმუშისთვის შემოგთავაზებთ პირველი კლასის აქტივობებს.

სარეკომენდაციო აქტივობები:

- ✓ უჩვენებს მოსწავლეებს კონკრეტულ საგანს და სთხოვს დაასახელონ მისი თვისებები, დაუკავშირონ დასახელებული თვისებები შესაბამისი შეგრძნების ორგანოებს.

- ✓ სთხოვს მოსწავლეების ერთ ჯგუფს, ჩაიფიქროს რომელიმე სხეული და აღწეროს მისი თვისებები, ხოლო მეორე ჯგუფს გამოიყენოს ჩაფიქრებული სხეული.
- ✓ აღწერონ საგნის თვისებები და ახსნან როგორ მოახერხეს ამოცნობა.
- ✓ სთხოვს მოსწავლეებს ამოიყონ საგანი ხმის მიხედვით, რომელსაც ის გამოსცემს (მაგალითად მასზე დაკაკუნების შედეგად)
- ✓ ასმენინებს მოსწავლეებს აუდიო მასალას მაგალითად ცხოველების ხმები, სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის: წვიმის, ჭექაქუხილის, ზღვის ღელვის თანხმლები ხმები და სთხოვს, ამოიყონ, რა გამოსცემს ამ ხმებს;
- ✓ რეალურ გარემოში, ვიდეომასალაზე ან კომპიუტერული სიმულაციების გამოყენებით აჩვენებს მოსწავლეებს ქუჩის სიტუაციას. სთხოვს, იმსჯელონ შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე გამაფრთხილებელი ნიშნების აღქმისა და მათზე რეაგირებისთვის
- ✓ სთავაზობს მოსწავლეებს, შეგრძნების სხვადასხვა ორგანოს გამოყენებით გამოიკვლიონ ლოკალური გარემო (მაგ.; საკლასო ოთახი, სკოლის ეზო) და აღწერონ კონკრეტული სხეულები;
- ✓ აძლევს დავალებას: დახუჭე თვალები და მითხარი, რა ფერია კალამი? არ შეეხო ჭიქას და მითხარი მასში თბილი წყალი ასხია თუ ცივი? რატომ ვერ შეუბნები? ეხმარება მოსწავლეებს, გამოიტანონ დასკვნა, რომ სხეულის რომელიმე თვისების აღქმა შეგრძნების მხოლოდ განსაზღვრულ ორგანოს შეუძლია;
- ✓ აძლევს მოსწავლეებს ისეთი ტიპის დავალებებს, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისინი შეძლებენ გამოიტანონ დასკვნა პირადი ჰიგიენის დაცვის (მაგ ხელების ხშირად დაბანა, ტანის დაბანა, კბილების გამოხეხვა, კომპიუტერით სარგებლობის ჰიგიენური ნორმების დაცვა) აუცილებლობაზე.

სარეკომენდაციო აქტივობები:

- ✓ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ და დაასახელონ ადამიანის, ცხოველის, მცენარის სხეულის ნაწილები, იმჯელონ მათ დანიშნულებაზე
- ✓ აჩვენებს მოსწავლეებს ნაცნობი ან უცნობი მცენარეების/ცხოველების ილუსტრაციებს/ვიდეო მასალას. სთხოვს შეადარონ ისინი ერთმანეთს გარეგნული ნიშნების, ან/და სხეულის ნაწილების მიხედვით;
- ✓ აწყობს საკლასო გამოფენას მცენარეების/ცხოველების მრავალფეროვნების თემაზე (მაგ. სთხოვს მოსწავლეებს წარმოადგინონ ნახატები, ჰერბარიუმები, აპლიკაციები, ფოტოები ცხოველებისა რომლებიც დადიან /დაფრინავენ/დაცურავენ; მცენარეებისა რომლებსაც აქვთ ერთმანეთისგან განსხვავებული ყვავილები) სთხოვს მოსწავლეებს გამოიტანონ დასკვნა ცოცხალი სხეულების მრავალფეროვნების შესახებ;
- ✓ სთხოვს მოსწავლეებს აირჩიონ რომელიმე მცენარე ან ცხოველი(მაგ. საკუთარი შინაური ცხოველი) მოყვენ მასზე ისტორია და გაუზიარონ კლასელებს გამოცდილება მასთან ურთიერთობის შესახებ,გამოიტანონ დასკვნა ადამიანებისთვის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობის შესახებ.
- ✓ ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა მცენარეს/მათ ნაწილებს, სთხოვს, გამოიკვლიონ ისინი და შეადარონ ერთმანეთს მითითებული კრიტერიუმების მიხედვით (ფოთლები ფორმის მიხედვით ზომის მიხედვით და ასე შემდეგ)
- ✓ ინვესტს სტუმარს (ვეტერინარს, კინოლოგს, ცხოველების მწვრთნელს) ცხოველებთან უსაფრთხოდ ურთიერთობის წესებზე სასაუბროდ.
- ✓ აჩვენებს მოსწავლეებს ორ განსხვავებულ სხეულს და სთხოვს შეადარონ ერთმანეთს; ეხმარება მოსწავლეებს სხეულის თვისებები და დაკავშირებული სიტყვები(მაგ. დიდი,წითელი, მძიმე, პრიალა)
- ✓ ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა ნვთიერებისგან მასალისგან (მაგ. ქაღალდი, რკინა, მინა, ხე,პლასტილინი)დამზადებულ სხეულებს და სთხოვს გამოიკვლიონ მათი თვისებები.(მაგ.სიგლუვე, გამჭვირვალობა, დრეკადობა, იძირება თუ არა ჭყალში და ატარებს თუ არა წყალს)

- ✓ ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა ნივთებისგან/ მასალისგან დამზადებული სხეულების ნაკრებს და სთხოვს, დააჯგუფონ ერთნაირი ნივთიერებისგან მასალისგან დამზადებული სხეულები.
- ✓ ურიგებს მოსწავლეთა ჯგუფებს ერთნაირ სხეულებს (მაგ. კოვზებს, ბურთულებს) და სთხოვს მათ დაამზადონ პლასტილინისაგან ამავე სხეულის მოდელი. აქტივობის ბოლოს მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს მათ მიერ დამზადებულ მოდელს და ორიგინალს. მასწავლებლის დახმარებით უკავშირებენ გამოვლენილ განსხვავებებს შესაბამისი მასალის თვისებებს.
- ✓ სწავლის დაწყების პირველსავე დღეებში, სკოლის გაცნობის მიზნით, მოსწავლეები გაჰყავს სკოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასასუფთავებლად.
- ✓ სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ საგნები, რომლებსაც საკლასო ოთახში ხედავენ და ისაუბრონ ამ საგნების დანიშნულების შესახებ. შეადარონ სახლში არსებულ საგნებს, აღმოაჩინონ მსგავსება სახლსა და სკოლას შორის. მასწავლებელი უნდა შეეცადოს რომ სკოლის გარემო მოსწავლეთათვის საინტერესო და ახლობელი გახდეს. სთავაზობს მოსწავლეებს თამაშებს, რომლებიც მოითხოვენ სივრცეში გადაადგილებას მიმართებებით ტერმინების მიხედვით (მაგ. დამალული საგნის მისაგნებლად გადაადგი 2 ნაბიჯი წინ 3 ნაბიჯი მარცხნივ).
- ✓ აძლევს მოსწავლეებს კონკრეტულ ინსტრუქციებს, რომლებიც შეიცავენ მიმართებით ტერმინებს (მაგ. წიგნის მარჯვნივ დადებ ფანქარი).
- ✓ სთხოვს მოსწავლეებს, შეასრულონ სივრცითი მიმართების შემცველი დავალებები ფურცელზე ან კომპიუტერში(მაგ.მაგილის ქვეშდახატე ბურთი)
- ✓ სთავაზობს დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლემ თავად უნდა გასცეს მიმართებითი ტერმინების შემცველი მარტივი ინსტრუქცია(მაგ. აუხსენი გიორგის ,როგორ მოძებნოს ექიმის ოთახი; აღწერე, როგორ მოხვედით შოლიდან საკლასო ოთახში);

- ✓ სთავაზობს საგზაო მოძრაობის წესების თემაზე სიმულაციურ თამაშებს საკლასო ოთახში ან სკოლის ეზოში. სასურველია, საგზაო სიმულაციური თამაშებისათვის მანიშნებლები თავად მოსწავლეებმა დაამზადონ.
- ✓ სთხოვს მოსწავლეებს აღწერონ დღე და ღამე განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით და დახატონ ღამის და დღის სურათი.
- ✓ სთხოვს მოსწავლეებს საკუთარი დაკვირვების საფუძველზე დაახასიათონ ცხოველების ქცევა დღე-ღამის განმავლობაში (შინაური ცხოველის, მაგ. თუთიყუშის, ძაღლის, კატის ქცევაზე დაკვირვების შედეგების ან ვიდეოფილმის საფუძველზე) და გამოთქვან მოსაზრება, რატომ იქცევა მათი დაკვირვების ობიექტი ასე თუ ისე;
- ✓ აჩვენებს მოსწავლეებს წელიწადის დროების ამსახველ სურათებს. სთხოვს, ამოიცნონ და იმსჯელონ მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, დაასახელონ მათთვის საყვარელი წელიწადის დრო.
- ✓ სთავაზობს მოსწავლეს, ყუთში ცაყრილი ფერადი ფურცლებიდან ამოიღოს რომელიმე ერთი ფურცელი და დაუკავშიროს წელიწადის დროს. ახსნას რატომ დაუკავშირა ეს ფერი დასახელებულ დროს.
- ✓ სთავაზობს მოსწავლეებს თამაშს: მოსწავლე ბარათზე დაწერილ წელიწადის დროს უხმოდ მიმიკით და ჟესტებით განასახიერებს, თანაკლასელებმა კი უნდა გამოიცნონ რომელი წელიწადის დრო წერია ბარათზე.
- ✓ სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, მოუთხრონ თანაკლასელებს საკუთარი დაბადების დღის შესახებ. მასწავლებელი კითხვებით მიმართულებას აძლევს საუბარს: უფრო ხშირად როგორი ამინდია შენს დაბადების დღეზე? რა გაცვიათ შენ და შენს მეგობრებს? ყოფილა თუ არა თოვლი/წვიმა? ხეები აყვავებულია თუ არა და ა.შ. ამ შეკითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ კლასმა უნდა გამოიცნოს წელიწადის რომელ დროს არის მისი დაბადების დღე.

როგორც ერთი კლასის მიმოხილვიდან ჩანს, საგანი საკმაოდ რთულ მასალებს მოიცავს, მაგრამ პრაქტიკაზე დაკვირვებით ცხადი გახდა, რომ თუ მასწავლებელი სწორად იყენებს რეკომენდაციებს, მოსწავლეები იოლად ხარისხიანად და ინტერესით სწავლობენ. ამ საკითხს მომდევნო პარაგრაფში დავუბრუნდებით.

ამჯერად განვიხილავთ ბუნებისმეტყველების სასწავლო გეგმაში რეკომენდირებულ შეფასების კომპონენტებს.

შეფასების აუცილებელი კომპონენტებია:

1) საშინაო დავალება

დავალების ტიპები: საბუნებისმეტყველო შინაარსის ტექსტზე მუშაობა. კითხვებზე პასუხების მომზადება, საშინაო ექსპერიმენტის ჩატარება და ოქმის მომზადება, ობიექტებსა და პროცესებზე დაკვირვება და შედეგების აღრიცხვა, ინფორმაციის მოძიება ან/და დამუშავება, კონცეპტუალური რუკის შედგენა, მოდელირება, რეფერატის მომზადება, პროექტზე მუშაობა და სხვა.

შეფასების უნარ-ჩვევები:

- სააზროვნო;
- კვლევის;
- პრობლემის გადაჭრის;
- დამოუკიდებლად მუშაობის;
- თვითმართვის;

და სხვა.

2) საკლასო დავალება

დავალების ტიპები: საკითხის განხილვა/დისკუსია, ობიექტებსა და პროცესებზე დაკვირვება, ექსპერიმენტის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა/დამუშავება, მოდელის შექმნა, საველე/გასვლითი სამუშაოები, კონცეპტუალური რუკის შედგენა, საბუნებისმეტყველო ტესტზე მუშაობა და სხვა.

შეფასების უნარ-ჩვევები:

- სააზროვნო;
- კვლევის;
- პრობლემის გადაჭრის;
- სოციალური;

- კომუნიაციის;
- თვითმართვის;

და სხვა

3)შემაჯამებელი დავალება

დავალების ტიპები:საველე/გასვლითი სამუშაო, კვლევითი სამუშაო, მოდელის შექმნა, ინდივიდუალურ/ჯგუფურ პროექტზე მუშაობა, პრეზენტაცია,ტესტი და სხვა. სასწავლო წლის განმავლობაში აუცილებელია გამოყენებულ იქნას შემაჯამებელი დავალების სხვადასხვა ტიპი.

შეფასების უნარ-ჩვევები:

- სააზროვნო;
- კვლევის;
- პრობლემის გადაჭრის;
- კომუნიკაციის;
- სოციალური;
- თვითმართვის;

და სხვა.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტით უნდა შეფასდეს ერთი კონკრეტული სასწავლო ერთეულის (მაგ.თემა, თავი) ბოლოს მიღწეული შედეგები.

დანყებით საფეხურზე სხვა სასწავლო გეგმებს აღარ განვიხილავთ ,თუმცა მსგავსად არის ყველა საგანში რეკომენდაციები წარმოდგენილი.

ამრიგად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასწავლო საგნების მიხედვით ერთმანეთთან არის დაკავშირებული საგნის სწავლების მიზანი, ამოცანები, აქტივობები, შეფასება. ეს არის ერთიანი სისტემა, რომელიც ეხმარება მასწავლებელს სწორედ შეარჩიოს საგაკვეთილო სასწავლო მიზნის მიღწეული დონის შესაფასებელი ფორმები და განსაზღვროს კრიტერიუმები.

ნაშრომში ეროვნული სასწავლო გეგმის მასალები ვრცლად წარმოვადგინეთ, რათა იგი ეფექტური გამოსაყენებელი იყოს. ამ ვარაუდის შესამოწმებლად ჩავატარე

სემინარი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის .ესწრებოდნენ I-IV კლასის მასწავლებლები და V-VI კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებლები.

ელექტრონული პროექტის საშუალებით დაწვრილებით გავაცანი გეგმის მოთხოვნები, რეკომენდაციები.სემინარზე პრაქტიკულად განვახორციელეთ სასწავლო მიზნის, აქტივობების და შეფასების დაგეგმვა.სულ სამი შეხვედრა/ სემინარი ჩავატარე.ბოლო შეხვედრაზე მასწავლებელთა მიერ ჩემი თხოვნით გამართულ დისკუსიაში „რა შემატა ჩემს პროფესიულ საქმიანობას სემინარმა“ გამოხატეს კმაყოფილება და აღნიშნეს, რომ ახალი გეგმის რეკომენდაციებს ჩაუღრმავდნენ ახალი ხედვით, გაიხსენა ახალი იდეები განმავითარებელი შეფასებისთვის, შეძლებენ დაამუშაონ შეფასების რუბრიკებში თავიანთი მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებისა და პროგრესისათვის. განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევენ თვით შეფასებას, კერძოდ მოსწავლის მიერ საკუთარი ცოდნისა და უნარების მიღწეული დონის ძლიერი და სუსტი მხარის გამოვლინებისა და გაუმჯობესების გზების პოვნის პრობლემას.

თავი მეორე

შეფასების თორმისა და მეთოდების გამოყენება მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

§3. სასკოლო შეფასების ისტორიიდან

შეფასება საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პროცესია. ლოიტერატურის გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება შეფასების შესახებ მასალები არსებობს. პედაგოგიურ ნაშრომებში თითქმის ყველგან არის აღნიშნული შეფასების მნიშვნელობა, მცირედი ინფორმაციით. შესრულებულია ერთი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც შეფასების პრობლემებს ეხება.

პარაგრაფისთვის გამოვიყენეთ 2016 წელს გამოცემული ნაშრომი სწავლების მეთოდური, სტრატეგიური, პედაგოგიური, ტექნოლოგიური და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები. ავტორთა ჯგუფი სადაც შეფასება განხილულია ისტორიულ ჭრილში. ამ ნაშრომზე დაყრდნობით დავამუშავეთ მიმოხილვისთვის საჭირო მასალები.

პედაგოგიური პროცესისათვის უმთავრესია საბოლოო შედეგი და არა ზოგადი მიმდინარე პროცესი. თანადროულად უღერს ჯუმბერის სიტყვები სულხან საბა

ორბელიანის იგავიდან „მე არაფერს არ ვასწავლი, მე მხოლოდ შემძლია დავაფიქრო“ მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეს, მისი საქციელს პირადი მაგალითებითა და იგავებით აფასებს. აღსაზრდელს გამოაქვს დასკვნები საკუთარ ქმედებებზე სწავლობს თვითშეფასებას. საბოლოო შედეგის შესაფასებლად მეფის მიერ იმართება დებატები. სამეფო კარზე ყველას თვალწინ წარსდგა ლეონის აღზრდილი, რომელსაც გააჩნია მაღალი სააზროვნო უნარები: კრიტიკული, ანალიტიკური, მას შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, გამოირჩევა საკომუნიკაციო და სოციალური უნარებით.

სავარაუდოა, რომ ქართულ სწავლება აღზრდაში გამოიყენებოდა სიტყვიერი შეფასება, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ განმავითარებელი შეფასება. რომლის ეფექტურობა ზემოთ მოყვანილ ეპიზოდში კარგად ჩანს.

სიტყვიერი შეფასება როგორც სისტემა 1737 წელს ჩნდება. კარგ შედეგებს აღნიშნავდა პირველი ჯგუფის სიტყვები: „უბაღლო“ „კეთილი“ „საუკეთესო“ „აქტიური“ „სანაქებო“ „კეთილსინდისიერი“ „კარგი“ „საიმედო“.

მეორე ჯგუფი აღნიშნავდა საშუალო დონის მიღწევებს და აღინიშნებოდა სიტყვებით: „საშუალო“ „ზომიერი“ „არც თუ ისე პასიური“.

მესამე ჯგუფი აღნიშნავდა ჩამორჩენილ შედეგებს სიტყვებით: „სუსტი“ „ზარმაცო“ „არასაიმედო“ „გაიძვერა“ „უინტერესო“ „პასიური“.

შეფასების ეს სისტემა ჩაანაცვლა ციფრებით შეფასებამ. თავდაპირველად შემოღებული იქნა 12 ბალიანი შეფასება, შეფასებას რუბრიკის სახე ჰქონდა. მაგ: 12 ქულა ეწერებოდა მოსწავლეს იმ შემთხვევაში, თუ განვლილი მასალა ძალიან კარგად იცოდა, ნათლად პასუხობდა ყველა შეკითხვას, აზრებს ლოგიკურად აყალიბებდა, შეეძლო კამათში დაეცვა საკუთარი მოსაზრება, დიალოგს თავისუფლად წარმართავდა. 3, 2, 1 ეწერებოდა მოსწავლეს იმ შემთხვევაში, როდესაც არაფერი არ იცოდა ურევდა ერმანეთში ცნებებს და განმარტებებს, აზრები ბუნდოვანი და მცდარი იყო.

1915 წელს დიმიტრი უზნაძემ დაარსა ქალთა სკოლა „სინათლე“ სასწავლო პროცესზე დაკვირვებით და მისი გაანალიზებით წარმოაჩინა სწავლისა და აღზრდის

მნიშვნელოვანი სირთულე რომელსაც შემდგომ „აღზრდის ტრაგედია“ უწოდა, ანუ მიზნები მიუღწეულია, როცა იგი მხოლოდ პედაგოგის სურვილებს ასახავს და ბავშვის ინტერესებს არ შეესაბამება. წარმატებას ხელადა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კეთილგანწყობილ და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნაში. იგი თვლიდა, რომ მოსწავლეთა ნიშნებით ციფრებით შეფასება უნდა განიღვენოს, რადგან იგი უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, რადგან ამ ტიპის შეფასება მოსწავლეში იწვევდა მთელ რიგ ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ დარღვევებს, რაც მოზრდილის ფსიქოლოგიური ადაპტაციის ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება.

დიმიტრი უზნაძის სკოლაში მასწავლებლები ციფრებით შეფასების ნაცვლად თავის რვეულებში ასახავდნენ მოსწავლეთა წარმატებისა და წარუმატებლობის შესახებ ინფორმაციას, მათი გაანალიზების საფუძველზე აღსაზრდელებსა და მშობლებს აძლევდნენ რჩევებს პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. ასეთმა მიდგომამ საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო, სკოლაში გაიზარდა სწავლის ხარისხი და სწავლის ხალისიც.

დიმიტრი უზნაძის აზრები და საქმე შეფასებასთან მიმართებაში პროგრესული იყო, მაგრამ არ იქნა მხარდაჭერილი და დაიკარგა. ამჟამად, თითქმის საუკუნის შემდეგ დადგა თითქმის იგივე საკითხი და საუბარია, უფრო სწორედ სამომავლო გეგმებში დაგეგმილია საბაზო და საშუალო საფეხურზე ქულებით მხოლოდ შემაჯამებელი დავალების შეფასება, დანარჩენი სიტყვიერ ანუ განმავითარებელ შეფასებას დაექვემდებარება. ეს მიდგომა სამწუხაროდ ხასიათდება როგორც ევროპული სკოლების თანამედროვე გამოცდილების გაზიარება, როცა მსგავსი სიტემა გვაქვს დიმიტრი უზნაძესთან.

დიმიტრი უზნაძის შეხედულებით მთავარია არა იმის აღნიშვნა და შეფასება თუ რა არ იცის მოსწავლემ, არამედ იმის აღნიშვნა თუ რა იცის მოსწავლემ კარგად, თუ მოსწავლე გააცნობიერებს თუ რა იცის კარგად იგი აუცილებლად მიაღწევს იმას, რაც უნდა.

შემოწმება- შეფასების ნიშანი სუბიექტურ ხასიათს ატარებს, რაც ხშირად მოსწავლესა და მასწავლებელს შორის გაუგებრობის, ურთიერთობის შესუსტების,

უსიამოვნებისა და უკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს. მეცნიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განწყობის ფაქტორს. თუ მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ მოსწავლე პასუხისთვის მზად არ არის, ვერ უპასუხებს სათანადო დონეზე, უმჯობესია თავი შეიკავოს და შეუქმნას წყნარი და კეთილმოსურნე ატმოსფერო სწორი პასუხისათვის. ანუ მოსწავლე არცოდნაში კი არ დაიჭიროს არამედ მიიყვანოს იგი სწორ პასუხამდე.

დimitრი უზნაძისეულ კონცეფციაში საუბარია მოსწავლის პირად პასუხისმგებლობაზე ცოდნისა და მოცულობისა და ხარისხისათვის. აქვე აღვნიშნავთ რომ კვალიფიკაციათა ეროვნულ ახალ ჩარჩოს 2019 მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურის დონის მისაღწევ მახასიათებლად მიიჩნევა „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ სადაც მინიშნებულია მოსწავლის პირადი პასუხისმგებლობა საკუთარი სწავლის მართვაზე. აღვნიშნავს, იმასაც რომ ბავშვის ქცევის ჩაწერა და შემდეგ სათანადო შეფასება დაინერგა სკოლამდელ დაწესებულებებში ენ. „ჩველისტების „ მეთოდის სახელწოდებით.

1921 წლიდან იყო მცდელობა უნისშნო შეფასების თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ დამთავრდა. 1932 წლიდან შემოდის სწავლების მოდელი, რომლის მიხედვით სკოლის დანიშნულება იზრუნოს ცოდნის შევსებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ინერგება მოსწავლეთა ქულებით შეფასება-შემონმება. მოსწავლეები ფასდებოდენ მიმდინარე და საკონტროლო ნიშნებით ყველა მიმდინარე ნიშნის საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე გამოყავდათ მეოთხედის ქულა, შერჩევით საგნებში ტარდებოდა გამოცდები. გამოცდის ნიშანი გავლენას ახდენდა წლიურ ნიშანზე.

მოსწავლეთა შემონმების შეფასების საკითხები განიხილა დ.გურგენიძემ. მან გარკვეული როლი შეასრულა შეფასების ძირითადი სახეების ჩამოყალიბებაში. ძირითადი სახეები იყო: მოსწავლეთა მიმდინარე შეფასება, მეოთხედური შეფასება, წლიური შეფასება.

როგორც აღვნიშნეთ 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილებით სასკოლო მუშაობაში აღრიცხვის საფუძველზე დაინერგა და დაიდო მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე, ინდივიდუალური, სისტემური აღრიცხვა.

დ.გურგენიძე სკოლაში მოსწავლეთა სრულყოფილი ცოდნის კრიტერიუმებს შემდეგნაირად აყალიბებს:

1. ცოდნის მოცულობა: მოსწავლეს მოეთხოვება სრულად ფლობდეს ცოდნის მთელ იმ მოცულობას, რაც განსაზღვრულია სასწავლო პროგრამით.
2. ცოდნის შეგნებულობა, გააზრებულობა. მოსწავლეს ცალკეული ფაქტები, მოვლენები ათვისებული უნდა ჰქონდეს ერთმანეთთან კავშირში მოვლენათა შინაგან კავშირსა და ურთიერთობაში
3. ცოდნის სიღრმე და სიზუსტე.
4. ცოდნის სიმტკიცე.
5. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევები ცალკეული დარგების შემდგომი დაუფლების უნარი და შესაზღვებლობები.

ამის შესაბამისად განსაზღვრულია ნიშნით შეფასების კრიტერიუმები მაგალითად ნიშანი „5“ დაენერება იმ მოსწავლეს, რომელმაც სრულად ზედმიწევნით და მარდტივად ათვისა პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი, შეუძლია პასუხი გასცეს ყველა კითხვას, შეუძლია მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში, ამასთან არის სანიშნო ყოფაქცევის პრომოსმოყვარე, ზნეობრივი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოსწავლის ყოფაქცევაში ნიშანი ცალკე იწერებოდა.

1943 წლამდე მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისთვის გამოიყენებოდა სიტყვიერი სისტემა „ფრიადი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“, „ცუდი“, 1943-1944სწავლო წლიდან დაიწერა „5“ ბალიანი სისტემა (5,4,3,2,1) მიაჩნდათ, რომ 5 ბალიანი სისტემა უფრო კონკრეტულსა და გააზრებულს გახდიდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას.

ცოდნა- ჩვევებით სისტემის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დავით ლორთქიფანიძემ. მან ჩამოაყალიბა შეფასების ძირითადი პრინციპები. იგი უპირატესობას ინდივიდუალურ შემონმებას ანიჭებდა. იგი თვლიდა, რომ ნიშნების შეტანა ცოდნის შემონმება-შეფასებაში იყო სწორი გადაწყვეტილება, რადგან მხოლოდ ასეა შესაძლებელი მოსწავლეთა ინდივიდუალური ცოდნის შემონმება.

დავით ლორთქიფანიძემ განსაზღვრა ცოდნის შემონმებასა და შეფასების ძირითადი მეთოდები:

1. მიმდინარე დაკვირვება.

2. ზეპირი გამოკითხვა

3. საკონტროლო წერიტი შემონმება.

4. მოსწავლის პრაქტიკული ნამუშევრის ანგარიში. ჩამოაყალიბა თითოეულის შეფასების კრიტერიუმი.

შეფასების სისტემის განვითარებაში ახლებური ხედვა ჩამოაყალიბა შალვა ამონაშვილმა, მან თავის წიგნში „მოსწავლეთა ცოდნის შეფასების აღმზრდელითი ფუნქცია“, რომელშიც ვრცლად აღწერს მოსწავლეთა ცოდნის შემონმების და შეფასების ფსიქოლოგიურ ზეგავლენას მოსწავლეზე. მისი აზრით შემეცნებითი აქტიურობის და მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის დაქვეითების მიზეზი პირველ რიგში, არასწორად ორგანიზებული სასწავლო პროცესი, სუსტი მეთოდიკა და შეფასების ტრადიციული სისტემაა. იგი აყენებს საკითხს ნიშნით შეფასების სკოლიდან განდევნის თაობაზე და კვლევების საფუძველზე ამტკიცებს, რომ მოსწავლეების სწავლის პროცესისადმი დამოკიდებულება დაკავშირებულია სწავლების მეთოდიკაზე, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის სტილზე, სასწავლო მასალასა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სისტემაზე.

სწავლების განმავითარებელი ფუნქციის ფსიქოლოგიურ ასპექტს საფუძველად დაედო იდეა: მოსწავლემ შესძლოს ინფორმაციის ზუსტად და სრული შეთვისება, რაც სწორი და სრული წინაპირობის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების ხარისხს ზრდის. ამიტომ მასწავლებლის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოსწავლისათვის ბუნებით თანდაყოლილი ყველა ინტელექტუალური უნარის განვითარება.

შალვა ამონაშვილის შრომები და კვლევები ძირითადად დაწყებით კლასებს ეხება, იგი აღნიშნავს, რომ ამ საფეხურზე სწავლის მოტივაცია მაღალია, დაქვეითება იწყება V კლასიდან და გრძელდება დამამთავრებელ კლასში.

შალვა ამონაშვილმა ექსპერიმენტების შედეგებით მიაღწია, რომ მაშინდელ ჯერ მოსამზადებელ შემდეგ პირველ კლასში ციფრებით შეფასება არ იწერებოდა, ხოლო 2006 წლიდან დაწყებით კლასებში აღარ იწერება ნიშანი.

2006 წლიდან საქართველოს სკოლებში ინერგება 10 ბალიანი სისტემა, შეფასების ორი ტიპით განმავითარებელი და განმსაზღვრელი. ამრიგად მოსწავლეთა ცოდნის შეფასება, შემონშების პრობლემამ გადაჭრის რთული წინააღმდეგობრივი გზა განვლო, განსაკუთრებით XX საუკუნეში. სხვადასხვა მოსაზრებებისა და გადანყვეტილებების მიხედვით ყველგან ფიგურირებს განმავითარებელი შეფასების საჭიროება, რომელიც სიტყვიერი შეფასების სახით სათავეს იღებს როგორც ბავშვის განვითარების მიღწეული დონის გაუმჯობესების საშუალება.

§4. განმავითარებელი შეფასების რაობისთვის.

განმავითარებელი შეფასების მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ შესწავლილი საკითხი. იგი გამოიყენება კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას ნებისმიერი საგაკვეთილო კომპონენტში, ეხმარება მასწავლებელს სწორედ დაგეგმოს სწავლების პროცესი და მიაღწიოს სასწავლო მიზანს. სწორედ დაგეგმილი განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეს დააბუსტოს რა იცის, რა შეუძლია და რისი განვითარება სჭირდება მიზნის მისაღწევად.

განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია სტატიები, გამოთქმულია მოსაზრებები, შემოთავაზებულია პრაქტიკული გამოცდილება, ნაშომზე მუშაობის პერიოდში გამოქვეყნდა საინტერესო სახელმძღვანელო „განმავითარებელი შეფასება დიფერენცირებული სწავლება“. მასში განთავსებული მასალები აქტიური და გამოსაყენებლად სასარგებლოა.

განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოსაყენებისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო გარემო, ეს არის გარემო, სადაც სწავლობს მოსწავლე და კლასში არსებული ყველა სასწავლო რესურსისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის პროცესის სწორად წარმართვას წინასწარ დაგეგმილი მიზნის მისაღწევად.

ეფექტიანი სასწავლო გარემოს ძირითადი მახასიათებლებია:

- ✓ **ფსიქოლოგიური უსაფრთხოება** : მოსწავლის პიროვნებას პატივს სცემენ, ზრუნავენ მასზე, ენდობიან.
- ✓ **ფიზიკური უსაფრთხოება**: მოსწავლის ჯანმრთელობას არ ექმნება საფრთხე.
- ✓ **ინკლუზია**: სხვადასხვა ეროვნების, კულტურის, რელიგიის სსსმ მოსწავლეები ერთმანეთს პატივს სცემენ და მშვიდობიანად თანააარსებობენ და სწავლობენ ერთ გარემოში.

ინტერაქციულია სასკოლო გარემო, სადაც მოსწავლეებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს, მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთთან თანამშრომლობით, მოსწავლეები სწავლობენ „აღმოჩენით“.

ეფექტიანი სასწავლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

მოსწავლეებელსა და მოსწავლეს შორის პოზიტიური ურთიერთობს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მოსწავლის სწავლის მოტივაციის გასაზრდელად. ამ მიმართულებით სასურველია მოსწავლეებელი კავად იცნობდეს მოსწავლის ხასიათის თავისებურებებს, ინტერესებს, სწავლის სტილს და გასაუმჯობესებელ მხარეებს. ეს ეხმარება მოსწავლეებელს დაგეგმოს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესი.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე გრძნობდეს რომ მოსწავლეებელი მისგან მოელის წარმატებას. შალვა ამონაშვილი წერდა : ჩემი პროფესიული ხელოვნების მიღწევა ის არის, როცა წარუმატებელი მოსწავლე წარმატებული ხდებაო.

ძირითადი პირობა კარგად დაგეგმილი გაკვეთილისა, არის მიზნის მისაღწევი აქტივობები შესაბამისი შეფასებით.

გაკვეთილი მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება, შედეგებამდე მისასვლელად კი მოსწავლეებელი განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, რომლის ძირითადი ორიენტირი ეროვნული სასწავლო გეგმაა, რომელიც პასუხობს კითხვებს:

- რა ეცოდინება, რის მიღწევას შეძლებს მოსწავლე?
- რა პირობებში გამოამჟღავნებს მოსწავლე ამ ცოდნას?
- რა იქნება მიზნის მიღწევის მაჩვენებელი (ინდიკატორი)?

რაც უფრო ზუსტად და მოსწავლეთა სჭიროებებზე გათვლის მასწავლებელი მიზანს, მით უფრო გამოვლინდება მოსწავლის მიღწევის მაჩვენებელი და მით უფრო ობიექტურად შეუძლია, რისი დემონსტრირების უნარი აქვს.

მასწავლებელი განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვით შეაფასებს და დაადგენს თუ რა დონეზე მიაღწია შედეგს.

შეფასების შედეგების გამოყენება მნიშვნელოვანი ასპექტია. თუ შედეგი მოითხოვს გაუმჯობესების გზების მითითებას, შესაძლებელია შესაბამისი რეკომენდაცია, რჩევა.

შეფასებას განმავითარებელი შეიძლება ვუნოდოთ მაშინ, თუ ხდება ამ შეფასების გაანალიზება და სწავლების, სასწავლო აქტივობების მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

განმავითარებელი შეფასება მოსწავლის განვითარებაზე და სწავლის ხარისხის ამალღებაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე ასეთი სახის შეფასებისას არ არის სავალდებულო, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს ქულა ყოვეთვის დაუნეროს.

- უკუკავშირი შეფასების მიზნით ეს არის კომენტარი კონკრეტულ სსსწავლო მოქმედებაზე, რომელიც აძლევს მოსწავლეს ინფორმაციას, თუ რა შეასრულა კარგად და რა არა. ხარვეზის შემთხვევაში აწვდის რეკომენდაციას ან რჩევას რა გზით დაძლიოს სუსტი მხარე.
- უკუკავშირი უწყვეტი პროცესია, რომელიც ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, ინტერვიუს.
- ეფექტური უკუკავშირისთვის მასწავლებელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს მკაფიო კრიტერიუმები ან რუბრიკები, რომელსაც აცნობს მოსწავლეებს, საჭიროების შემთხვევაში მშობლებს.
- სწავლის პროცესში მასწავლებელს შეუძლია გამოყოს ეტაპები შეფასებისათვის. თითოეულ ეტაპზე აძლევს რჩევას განმავითარებელი შეფასებით უკეთესი შედეგის მისაღწევად.
- შეფასებისთვის მრავალმხრივი საშუალებელებია: მკვირი გამოკითხვა, წერიტი საშუალო, შეკითხვები, პრეზენტაცია, პროექტი, პორტფოლიო, თვითშეფასება, ურთიერთ-შეფასება.

- ეფექტურია მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობით შედგენილი რუბრიკები, კრიტერიუმები, სქემები.
- სასურველი შედეგის მისაღწევად შეფასების ფორმები და მეთოდები შესაბამისობაშია მოსწავლეთა შესაძლებლობებთან.

კითხვები რომლებიც გამოგადგებათ საკუთარი საქმიანობის შესაფასებლად

- მაქვს შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები (რუბრიკები) სხვადასხვა უნარისა თუ სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად?
 - იცნობენ ჩემი მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებს/ რუბრიკებს?
 - მიიღეს მოსწავლეებმა კრიტერიუმების შემუშავებაში მონაწილეობა?
 - ვამოწმებ სისტემეტიურად მოსწავლეების მიღწევებს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით: გამოკითხვა, პრეზენტაცია, შეკითხვები და ა.შ.
 - არის თუ არა სასწავლო პროცესის მონიტორინგი რეგულარული და ვიყენებ თუ არა თითოეული მოსწავლის სწავლის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად სხვადასხვა გზას (მაგ. დაკვირვებას, პორტფოლიოს ანალიზს და სხვა)?
 - გამოვყოფ სწავლის პროცესში მნიშვნელოვან ეტაპებს, განვსაზღვრავ თითოეულ ეტაპზე მისაღწევ შედეგს და ვიყენებ თუ არა სხვადასხვა სახის განმავითარებელ შეფასებას, რათა დავეხმარო მოსწავლეებს თითოეულ ეტაპზე საკუთარი პროგრესის შეფასებაში?
 - ვაძლევ მოსწავლეებს ისეთ დავალებებს, რომ მათ შეძლონ საკუთარი ცოდნის რეფლექსია და მისი შემდგომი გაღრმავება?
 - ვაძლევ მოსწავლეებს მკაფიო და აღწერით უკუკავშირს, რათა მათ შეძლონ საკუთარი ცოდნის და უნარების გაუმჯობესება და გაღრმავება?
 - შეესაბამება ჩემი შეფასებები სასწავლო მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს?
 - ვაანალიზებ და ვიყენებ თუ არა შეფასების შედეგებს შემდგომ საქმიანობაში?
- მოსწავლეთა მიღწევები შედეგიანია თუ:**
- მოსწავლეებს შეუძლიათ განასხვავონ, რა იციან, რა არ იციან და რისი შესწავლის საჭიროება აქვთ;

- მოსწავლეები იყენებენ როგორც მასწავლებლის, ისე თანაკლასელებისგან მიღებულ უკუკავშირს საკუთარი მიღწევების გასაუმჯობესებლად და გეგმავენ საკუთარი სწავლის პროცესს;
- ისინი აანალიზებენ და ცვლილებები შეაქვთ საკუთარ ნამუშევარში მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- იყენებენ რუკებსა და სხვა ინსტრუმენტებს(შეფასების სქემები, კომენტარები) ხარისხის ამაღლებისათვის;
- მოსწავლეთა ნამუშევრებში შეიმჩნევა პროგრესი;
- ისინი თამამად წარუდგენენ და უხსნიან თანაკლასელებს საკუთარ ნამუშევარს;
- მოსწავლეები შეფასების რუკების მიხედვით აზუსტებენ საკუთარ შეფასებას;
- ისინი თანაკლასელებს აძლევენ გაუმჯობესებისკენ მიმართულ, მაღალი ხარისხის უკუკავშირს.

§5. განმავითარებელი შეფასების მეთოდები

განმავითარებელი შეფასებისთვის სიტყვიერ შეფასებასთან ერთად რეკომენდირებულია სხვადასხვა მეთოდი, ეს ტერმინი ბოლოდროინდელ ნაშრომებში მოიხსენიება როგორც „ინსტრუმენტი“ეს ბოლო ტერმინი უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევა, მაგრამ ნაშრომში გამოვიყენე ძველი ტერმინი „მეთოდები“.

მეთოდი: შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები.

შეიძლება გამოყენებული იქნას IV-V-VI კლასებში.

მიზანი1:

- A. შესასვლელი ბილეთების მიზანია (გაკვეთილის დასაწყისში)
- B. ინფორმაციი მოპოვება წინარე ცოდნის დამოკიდებულებების შესაბამისად.
- C. მიღებული ინფორმაციის გამოყენება ახალ აქტივობაზე გადასასვლელად ან გავითილში ცვლილებების შესატანად.

გასასვლელი ბილეთების მიზანია(გაკვეთილის დასასრული)

A. ინფორმაციის მოპოვება გაკვეთილზე მიღწეული შედეგების შესაბამისად (გაგება გააზრება).

B. მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასება.

აღწერა: შესასაღებელი და გასასვლელი ბილეთები შეიძლება განთავსდეს სამუშაო ფურცელზე, ან დაფაზე. იგი მოიცავს რამდენიმე კითხვას, დრო განსაზღვრულია.

შესასვლელი ბარათის ნიმუშები

კითხვა	
დავასახელოთ სამი საკვანძო სიტყვა ტექსტიდან.	გავეცანი გაკვეთილის მიზანს ?
ერთი კითხვა, რომელსაც დაუსმევდი ავტორს.	რა არის ჩემი მიზანი ამ გაკვეთილზე
დავწერო ფრაზა, რომელსაც გავუზიარებ თანაკლასელს.	

გასასვლელი ბარათის ნიმუში:

- დღევანდელი გაკვეთილის თემა იყო
.....
- ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ გაკვეთილზე დამამახსოვრდა
.....
- გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას გამოვიყენებ
.....

აუცილებელი არ არის, რომ ორივე ფორმა გამოვიყენოთ გაკვეთილზე დასაშვებია ერთ-ერთის გამოყენება.

თავდაპირველად მოსწავლეებს გაეცნობა გამოყენების ინსტრუქცია.

შესასვლელი ბილეთების გაანალიზებას მასწავლებელი დასრულების შესაბამისად გადახედავს. საჭიროების შემთხვევაში გამართავს მსჯელობას, მოდიფიცირებას გაუკეთებს აქტივობას.

რეკომენდირებულია ისეთი კითხვების შემუშავება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული სასწავლო მიზანთან და ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას.

მეთოდი: სწრაფი წერიტი სამუშაო.

- სწრაფი ჩანაწერი
- ერთნუთიანი ესე
- ერთნინადადებიანი რეზიუმე
- დაუსრულებელი წინადადებები.

ამ მეთოდების გამოყენება სხვადასხვა ფორმას და ინსტრუქციას საჭიროებს, მაგრამ მათი დახმარებით მასწავლებელს შეუძლია ძალიან მოკლე დროში შექმნას წარმოდგენა სასწავლო საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეთა მზაობის, გაგება-გააზრების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. გაკვეთილზე გამოიყოს დრო, რათა მოსწავლემ თავისი ნაწერი ხმამაღლა წაიკითხოს, გაუზიაროს კლასს, საჭიროების შემთხვევაში გაიმართოს მსჯელობა. შესაძლებელია ნაწერები შეათვასოს ჯგუფებმა. მასწავლებელი დააკვირდეს კგუფებში მოსწავლეთა მუშაობას და დაეხმაროს.

ეს მეთოდი საშუალებას იძლევა შეათვასდეს მოსწავლის კრიტიკული აზროვნება, სათქმელის მოკლედ გადმოცემის უნარი, ინფორმაციის დახარისხების უნარი. იგი საშუალებას იძლევა შეთვასება განხორციელდეს მასწავლებლისგან და მოსწავლეებისგანაც.

ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ახალი თემის შესწავლამდე წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, ახალი თემის გაგება-გააზრების ხარისხის შესამოწმებლად.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ეს მეთოდები გამოვიყენე IV-V-VI კლასებში.

IV კლასში ეფექტური გამოდგა მეთოდი დაუსრულებელი წინადადება.

გაუჭირდათ ერთნინადადებიანი შეჯამება, რადგან იგი მოითხოვს სიღრმისეულ გააზრებას და მაღალი დონის სააზროვნო უნარებს.

V-VI კლასში ოთხივე მეთოდი შედეგიანი აღმოჩნდა.

მეთოდი; დაფიქრდი-დანწყვილდი-გააზიერე

მოსწავლეს მიეწოდება საკითხი ან პრობლემა. იგი დაფიქრდება, აზრს გაუზიარებს მეწყვილეს იმსჯელებენ, შემდეგ გააცნობენ მთელ კლასს.

ეს მეთოდი ხელს უწყობს აქტიურობას, მოსწავლეთა მიერ ურთიერთ შეფასებას. მისი გამოყენება შეიძლება ტექსტის ნაკითხვის შემდეგ.

მეთოდი: კითხვის დასმა

კითხვის დასმა განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მთავარი მეთოდია, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება გაკვეთილზე

განმავითარებელი შეფასებისთვის რეკომენდირებულია ცხრილი ორი ტიპის კითხვებისთვის.

- A. კითხვები, რომელიც მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შეფასებას ემსახურება.
- B. კითხვები, რომელიც მოსწავლის მიერ საკითხის გაგება გააზრების დონეს აფასებს.

საგანი	კითხვის ფაქტობრივი ცოდნის შესაფასებლად	კითხვები გაგება-გააზრების დონის შესაფასებლად

ცხრილის გამოყენება შეიძლება წინარე ცოდნის შესაფასებლად, საკითხის შესწავლის პროცესშიც და საკითხის შესწავლის შემდეგაც.

კითხვების შერჩევა გაკვეთილის მიზნის შესაბამისად ხდება, შესაძლებელია წინასწარ დაგეგმვის გარეშე. თუმცა წინასწარი დაგეგმვა არ გამოორიცხავს სხვა შეკითხვის ჩართვას.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ორივე გამოვიყენე IV კლასში. უფრო ეფექტური იყო პირველი როცა კითხვა გაკვეთილის მიზნის შესაბამისად შევარჩიე აქტივობების შესრულებისას.

ჩავრთე ჩემეული ვერსია, მივანოდე ცხრილი და მივეცი ინსტრუქცია, რომ კითხვა ჩაენერათ თითონ და პასუხისათვის მიეწოდებინათ იმ მოსწავლისათვის ვინც მას სურდა. ინტერესი და ჩართულობა მაღალი იყო.

მეთოდი: „გამოსაძახებელი ჩხირები“

მეთოდის მიზანია გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლება.

აღწერა: მასწავლებელი ჩხირებზე წერს მოსწავლეთა სახელებს, ათავსებს ჭიქაში ან ყუთში. ამოიღებს შემთხვევითობის პრინციპით. გამოყენებულ ჩხირებს აბრუნებს თავის ადგილზე, ამით ინარჩუნებს მოსწავლის ყურადღებას, რადგან შეიძლება კიდევ მოუწიოს კითხვაზე პასუხის გაცემა:

შეიძლება ერთი კითხვის დასმით მთელი კლასის მობილიზება. საამისოდ გამოიყენება შემდეგი სქემა.

I მოსწავლე	II მოსწავლე	III მოსწავლე
პასუხობს	აღნიშნავს	მოჰყავს არგუმენტი
დასმულ	ეთანხმება თუ	თუ რატომ შეიზლება
კითხვას	არა მოსწავლის	პირველი მოსწავლის მიერ
მოსაზრებას	კითხვაზე გაცემული პასუხი იყოს	

სწორი ან არასწორი

რეკომენდირებულია, რომ მოსწავლე მზად იყოს გარკვეულ კითხვაზე პასუხისთვის.

„ქვიზი“

არის მოკლე ტექსტი, იგი მოიცავს 8-10 კითხვას, რომელიც უკავშირდება ერთ კონკრეტულ თემას ან ქვეთავს. იგი საშუალებას იძლევა სწრაფად შევაფასოთ მოსწავლეთა მიერ საკითხის გაგება-გააზრების დონე და მას დაუყოვნებლივ მივანოდოთ უკუკავშირი. ეს კი „ქვიზის“ განმავითარებელი შეფასების კარგი ინსტრუმენტია.

მეთოდი: „სიტყვის რუკა“

ამ გრაფიკული ორგანიზატორით მასწავლებელს ძალიან სწრაფად შეუძლია შეაფასოს, თუ რამდენად თულობს მოსწავლე ახალ სიტყვასთან/ტერმინთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

განმარტება

სიტყვა

მაგალითი 1

მაგალითი 2

მაგალითი 3

მეთოდი: “თვითშეფასება“ მოსწავლის მიერ საკუთარი ცოდნის აღრიცხვის ფორმა.

ამ ფორმის გამოყენებით მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს საკუთარი პროგრესი სწავლებაში. სასწავლო მიზანთან მიმართებაში. ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთ გაკვეთილზე, ერთი თემის რამდენიმე გაკვეთილზე, ერთი პრობლემა სხვადასხვა გაკვეთილზე.

მოსწავლის სახელი გვარი.....

საგანი..... სასწავლო თემა.....

გაგების დონე	დამწყები	განმავითარებელი	ექსპერტი	რეფლექსია რა ვისწავლე ამ კვირაში, კიდევ რა მაქვს შესასწავლი

შეფასების ეს ფორმა ეხმარება მოსწავლეს ფოკუსირება მოახდინოს სასწავლო მიზანზე. უვითარებს დროის მართვის უნარს, უმაღლებს მოტივაციას, ხელს უწყობს

პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ სწავლაზე და დამოუკიდებლად მიაღწიოს მიზანს. ამასთან თვითშეფასების ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას აძლევს მასწავლებელს დააკვირდეს მოსწავლის პროგრესს და მიიღოს გადაწყვეტილება როგორ განაგრძოს სწავლო პროცესი.

მეთოდი: მოსწავლეთა ინტერესების შეფასება

მოსწავლეთა ინტერესების შეფასების შედეგი მასწავლებელს საშუალებას აძლევს წარმატებულად დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს შეფასების კრიტერიუმები.

საინტერესო თემა	მოსწავლის პასუხი
რომელია შენი საყვარელი საგანი?	
რით ხარ დაკავებული სკოლის შემდეგ?	
რომ შეგეძლოს მსოფლიო ღონის რომელ ერთ დიდ პრობლემას გადაჭრიდი?	
რა სფეროში ისურვებდი კარიერის გაკეთებას?	
აღწერე შენს მიერ შესრულებული საქმიანი დავალებები რომლითაც ამაყოფ?	
გაიხსენე სხვისადმი შენი დახმარება რომელმაც სიხარული მოგიტანა?	
ხალხური ხელოსნობიდან რომელი დარგის ოსტატობას აირჩევდი?	
რას ნიშნავს შენთვის სიტყვა საინტერესო?	
რომელი უანრის მუსიკა გიყვარს?	

მეთოდი: შეფასების რუბრიკა

რუბრიკა არის მოსწავლის მუშაობის შესაფასებელი კრიტერიუმების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს მოსწავლის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის ღონის აღწერას თითოეული კრიტერიუმის მიხედვით.

რუბრიკის შედგენისას მასწავლებელი ერთი მხრივ შეარჩევს კრიტერიუმებს რომლითაც შეაფასებს მოსწავლის ნაშრომს, მეორე მხრივ განსაზღვრავს რა ჩაითვლება ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ მაჩვენებლად. მეორე მხრივ განსაზღვრავს რა ჩაითვლება სამუშაოს შესრულების ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ მაჩვენებლად. გასათვალისწინებელია რისთვის იქნება იგი გამოყენებული რუბრიკას, რომელშიც შეფასების კრიტერიუმები გაერთიანებულია ჰოლისტური ენოდება, რომელიც ჩამოიღო კრიტერიუმებს გვთავაზობს- ანალიტიკური.

ერთ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ რუბრიკას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულს უნოდებენ. ხოლო მსგავსი ტიპის სხვადასხვა დავალებების შესაფასებლად შექმნილ რუბრიკას ზოგადს.(გვ. 99 100, 101)

რუბრიკა მიენოდება საშინაო დავალების შესრულებისთვის რომლის მეშვეობით მშობელს შეუძლია დაეხმაროს და გაკონტროლოს შვილის მიღწევები.

განმავითარებელ შეფასებაში ქულები არ იწერება მაგრამ მონაცემთა ორგანიზება და ანალიზი აუცილებელია იგი ეხმარება მოსწავლეს მოსწავლეთა საჭიროებებზე დაგემოს აქტივობები განვითარებისთვის.

§ 6. განმავითარებელი შეფასება სასკოლო პრაქტიკაში

დანყებითი საფეხურის I-IV და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეფასება, როგორც აღვნიშნეთ არის განმავითარებელი. წინა პარაგრაფში განვიხილეთ განმავითარებელი შეფასებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქტივობები, მეთოდური რეკომენდაციები.

განმავითარებელი შეფასების პრაქტიკულად გამოყენების შესწავლის მიზნით ჩავატარე კვლევა .

კვლევის მიზანი: I-IV კლასებში განმავითარებელი შეფასების გამოყენების ვითარების შესწავლა.

კვლევის სამიზნე ჯგუფი- დანწყებითი კლასები სულ 24 კლასი მათ შორის 1 კლას-6, 2 კლასი-6, 3 კლასი-6, 4 კლასი-6, შესაბამისად კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები.

კვლევის მეთოდი: დაკვირვება და ინტერვიუ.

კვლევის ჩატარების დრო: 2019 წლის თებერვალი.

კვლევის შედეგების ანალიზი; დანწყებითი საფეხურის I-IV საფეხურში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება ყველა საგანში. სიტყვიერი შეფასებიდან უმაღლეს შეფასებას უტოლდება სიტყვა „ყოჩაღ“. დაბალი შეფასებისთვის კონკრეტული სიტყვა არ გამოიყენება. სიტყვა „ყოჩაღ“ რა კრიტერიუმებს გულისხმობს? ხშირად არ იყო გარკვეული, მოსწავლეებს მოსწონთ როცა აფასებენ სიტყვით „ყოჩაღ“ ერთ კლასში გამოყენებული ჰქონდათ ფლიფჩარტი, სადაც მოსწავლეთა წარმატება აღინიშნებოდა. იყენებდნენ ეგრეთწოდებულ სმაილებს, თუმცა მასწავლებელთა უმრავლესობას არ მოსწონთ სმაილები და თითქმის არ იყენებენ. მასწავლებელთა ერთი ნაწილი ეფექტურად იყენებს აპლოდისმენტით შეფასებას და იგი ემოციის გამოხატულებად მიაჩნიათ. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ არც თუ ხშირად მასწავლებლის მონოდების გარეშეც გამოხატავენ თავიანთ მონონებას შეფასებას აპლოდისმენტებით. იყო შემთხვევები როცა უნებურად რამდენიმე შემოკრა ტაში. მასწავლებლის შეკითხვაზე რა გამოხატეს თავიანთი აპლოდისმენტით? მოსწავლეებმა უპასუხეს გუშინდელზე უკეთესად მოგვიყვა, „ეშინოდა არ შემეშალოსო და არ შეფერხებულა“ „ჩემი მეგობარია და გამიხარდა კარგად რომ უპასუხა“ მასწავლებლები კომენტარსაც აკეთებენ აცნობენ მშობლებს, ჩვენი დაკვირვების სამიზნე კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა 15 ზე მეტი არ იყო. ამიტომ მასწავლებლები ყველას აფსებდნენ ყოველ დღე და მშობელთანაც კომუნიკაცია ჰქონდათ.

გავმართეთ ინტერვიუ მასწავლებელთან ერთი შეკითხვით: თქვენი გამოცდილებით შეფასების რომელი ფორმა მიგაჩნიათ წარმატებულად? პასუხებიდან სიახლედ მივიჩნიეთ ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის მასწავლებლების: მ. პაქსაძის, ც. დუმბაძის, ე. მიქელაძის გამოცდილება, რომელიც მდგომარეობს შემდღეში: გასული სასწავლო წლის ბოლოს ჩავატარეთ შემაჯამებელი შეხვედრა

„მოზრდანიტ, ნახეთ როგორ ვიზრდებით სამშობლოს გასახარადა“ შეხვედრაზე მოვიწვიეთ მშობლები. ეს იყო ერთგვარი ანგარიში მიღწეული შედეგისა. მონიტორზე ვაჩვენეთ თითოეული საგნის მიხედვით სტანდარტების შესაბამისად მიღწეული შედეგი. შესაბამისად შერჩეულ აქტივობებს ასრულებდნენ მოსწავლეები პასუხობდნენ აუდიტორიის შეკითხვებსაც. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ხალისიან აქტივობებში. განსაკუთრებული კმაყოფილება გამოხატეს მშობლებმა „არ ვიცოდი ჩემმა შვილმა ამდენი რამ თუ იცოდა“ „ვერ წარმოვიდგენდი ასე თუ შრომობდნენ მასწავლებლები და მოსწავლეები“, „გამიხარდა რომ ჩემმა შვილმა თავისით შეძლო შეცდომების გამოსწორება“, „გაოცებული ვარ ჩემმა შვილმა როგორ დამაჯერებლად ისაუბრა თავის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, გაუმჯობესების გზასაც რომ ხედავს, როგორ გაზრდილა ვერ შევამჩნიე აქამდე“ ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეხვედრისთვის მზადება მიმდინარეობდა პასუხისმგებლობით, მონდომებით, ხალისიანად. არ იყო სტრესი რასაც ხშირად ქმნის სიტყვა „გამოცდა.“

შეხვედრა იმდენად ეფექტური იყო, რომ ამ სასწავლო წელსაც ვაპირებთ ჩატარებას. კვლევის შედეგების მიხედვით წარმოჩინდა მეთოდური დახმარების საჭიროება, კერძოდ განმავითარებელი შეფასების ფორმებისა და სისტემის შესახებ.

კვლევის მიხედვით დანყებით კლასებში ატარებენ განმავითარებელი შეფასების აქტივობებს. ამ მიმართულებით იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს. განსაკუთრებით აღვნიშნავთ ისტ გამოყენებას გაკვეთილზე. მაგალითად IV კლასში გაკვეთილზე მიღებული ცოდნის შესამოწმებლად ეფექტურად იქნა გამოყენებული ინტერნეტ აქტივობა „დოლი“.

კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად გადავწყვიტეთ, რომ მოგვეპოვებინა პრაქტიკაში გამოყენებული განმავითარებელი შეფასებების განმარტებები. შემოგთავაზებთ ზოგიერთს:

შეფასებითი კომენტარი-პასუხის სისწორის დადასტურება, შექება, გამხნეება, წინსვლის აღსანიშნავად ერთხელ კომენტარის გზით მითითება.

რჩევები-შეცდომის გასასწორებელი გზის ჩვენება, უკეთესი ვარიანტის გამოყენების შეთავაზება,

თვითშეფასების შკალა-შეთავაზებული ჩამონათვლის მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების შეფასება მახასიათებლებით: ყოველთვის, ხშირად, ზოგჯერ, არასდროს, ან „ღიას“, „არა“.

შთაბეჭდილების მონაცემების შეფასება ხდება მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ რჩევების ან კომენტარის სახით, წერილობით ან ზეპირად.

ძლიერი და სუსტი მხარის განსაზღვრა-მოსწავლეს მიეწოდება სამუშაო ფურცელი მონაცემებით:**საკითხი, თემა, პრობლემა.**

ჩემი ძლიერი მხარე	ჩემი სუსტი მხარე	როგორ ვხედავ გაუმჯობესების გზას

მოვიპოვეთ ინფორმაცია იმის თაობაზე რომ პროექტი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები (მეთოდები) მუშავდება „ერასმუს +“ ფარგლებში საუნივერსიტეტო და ზოგადსაგანმანათლებლო დონის განმავითარებელი შეფასებისთვის. პრეზენტაციაზე აღინიშნა რომ, პროექტი გულისხმობს განმავითარებელი შეფასების შემუშავებას საუნივერსიტეტო დონეზე, მომავალი პედაგოგებისათვის, თუმცა, ეს უნივერსალური ინსტრუმენტები პროფესიაში მყოფი ადამიანისთვისაც გამოსადეგი იქნება. მის მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ პროექტში საქართველოს გარდა მსოფლიოს ოთხი უნივერსიტეტია ჩართული: ისრაელის კინერევის აკადემიური კოლეჯი, ირლანდიის კორკის უნივერსიტეტი,გერმანიის ბამბერგის, ესტონეთის ტალინის, ავსტრიის ლინცის პედაგოგიური უნივერსიტეტები. ამჯერად შემუშავებულია ხუთი მსხვილი ინსტრუმენტი, რომელიც განმავითარებელ შეფასებაზეა ორიენტირებული.

პროექტი მიზნად ისახავს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, მიაწოდებს მას ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ასევე ეხმარება ადეკვატურ თვითშეფასებას, შეფასების უნარის ფორმირებას და წარმატების მიღწევას.

აღნიშნული ინსტრუმენტების (მეთოდების) პრაქტიკულად გამოყენება თანდათან განხორციელება სამომავლო საქმეა, მაგრამ ნაშრომში უახლესი ინფორმაციის სახით ჩართვა საჭიროდ მივიჩნიეთ.

1. განმავითარებელი შეფასების ახალი მეთოდები(ინსტრუმენტები)

„კრიტიკული მეგობრის მიდგომა“ (კომპლექსური მიდგომა)

დაფუძნებულია: თანამშრომლობით შეფასებასა და კონსტრუქტიულ პრაქტიკაზე. მოსწავლეებისა და მასწავლებლის ურთიერთობაზე, კონსულტაციის განვლაზე, ეხმარება კონკრეტული პრობლემის აღმოფხვრას, ეხმარება განვითარებაში.

2. ღია ციფრული სამკერდე ნიშნები,ონლაინბეჭები

ციფრული ინსტრუმენტები-სამკერდე ნიშნები. დავალების შესრულებისას მიენიჭება გარკვეული სამკერდე ნიშნები.

3. ურთიერთშეფასება და რეფლექსური დღიური

ორიენტირებულია რეფლექსიაზე, ურთიერთშეფასებასა და თანაშეფასებაზე. სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენაზე.

4. სოციომოციური უნარების შეფასება

სოციომოციური ინტელექტი, რბილი უნარები

როგორ ესმის ტექსტი, როგორ გაიგო მოსასმენი დავალება, მოახდინა თუ არა ლექსიკის გამოყენება მეტყველებაში.

- თვითრეგულაცია
- საკუთარი თავის შემეცნება
- ემოციის კონტროლი
- სხვისი ემოციების გაგება
- ემპათია
- ურთიერთთანამშრომლობა და დახმარება
- მომავლის პოზიტიური ხედვა
- სიმტკიცე და დამატებლობა

- საკუთარი თავის წარმოჩენის რწმენა

5. კონცეპტუალური რუკების შედგენა

კვლევის შედეგების მიხედვით დანყებითი საფეხურის სკოლა სიახლეების დაგეგმვის პროცესშია. მასწავლებლებს უკეთესად მუშაობა სურთ, საამისოდ ეძებენ ახალ გზებს, ინსტრუმენტებს მიდგომებს. ვფიქრობთ ამ მიმართულებით ერთგვარი ხელშეწყობა იქნება ნაშრომში განთავსებული მასალები.

ამრიგად განმავითარებელი შეფასებისთვის სიტყვიერ შეფასებასთან ერთად რეკომენდირებულია სხვადასხვა მეთოდი:

„შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები“, „სწრაფი წერიტი სამუშაო“, „დაფიქრდი, დანყვილდი, გაიაზრე“, „კითხვების დასმა“, „გამოსაძახებელი ცხირები“, „ქვიზი“, „სიტყვის რუკა“, „თვითშეფასება“ „მოსწავლის ინტერესების შეფასება“, „შეფასების რუბრიკა“.

დანყებითი საფეხურის I-IV კლასებში როგორც ჩატარებული კვლევა ადასტურებს, ძირითადად გამოიყენება სიტყვიერი შეფასება „ყოჩაღ“, „აპლოდისმენტები“, იშვიათ შემთხვევაში სმაილები. წარმატებულ პრაქტიკად მივიჩნიე წლის ბოლოს შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც წარმოდგენილია საგნების მიხედვით რა შედეგებისთვის უნდა მიეღწიათ, რას მიარწიეს ან რა იციან და რა შეუძლიათ ბავსვებს კვლევის შედეგების მიხედვით მასწავლებლები ატარებენ განმავითარებელი შეფასების აქტივობებს მათთან ჩატარებული ინტერვიუ ცხადყოფს, რომ საჭიროებენ დაზუსტებულ მეთოდურ რჩევებსა და რეკომენდაციებს. ეფექტური გამოდგა შეთავაზებული მეთოდები, შეფასებითი კომენტარები, რჩევები, თვითშეფასების შკალა, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა-გაუმჯობესების იდეა, სამომავლო პრაქტიკაში განმავითარებელი შეფასების დანერგვა:

- კრიტიკული მეგობრის მიდგომა(კომპლემენტური მიდგომა).
- ღია ციფრული სამკერდე ნიშნები ონლაინბეჯები.
- ურთიერთშეფასება და რეფლექსური დღიური.
- სოციალური უნარების შეფასება.
- კონცეპტუალური რჩევების შედგენა.

დასკვნები რეკომენდაციები

- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებითი კლასებისთვის განსაზღვრავს დაწყებითი კლასებისთვის მოსწავლის შეფასების სისტემას, რომელშიც განთავსებულია შეფასების მარეგულირებელი წესები.
- შეფასების მთავარი მიზანია სწავლა სწავლები ხარისხის მართვა, რაც ერთი მხრივ გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ სწავლა სწავლების მონიტორინგს.
- შეფასების სიახლე არის მოსწავლის მიერ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასება და საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გონივრული, ეფექტური საქმიანობის განხორციელება.

- ძირითადი სასწავლო ამოცანების გადასატრელებად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, სააზროვნო შინაარსის დავალებებს. რომელიც მოსწავლეს პროგრესისაკენ აძლევს გზას.
- შემოთავაზებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობა, რომელიც მოიცავს მიზანს, ამოცანებს, წარმატების კრიტერიუმებს, შემფასებლისა და შეფასების ფორმები არის მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც მიზანმიმართულია, ხოლო გამოსაყენებლად იოლი და ეფექტური.
- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების საკითხთან მიმართებაში საგნის მასწავლებელთა კვლევა ადასტურებს, რომ მასწავლებლები იცნობენ ახალ გეგმას, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად თვლიან, მიაჩნიათ, რომ სჭირდებათ მეტი მეთოდი და პრაქტიკული დახმარება ეფექტიანად გამოყენების.
- მოსწავლეთა ცოდნის შეფასება, შემონშების პრობლემამ გადაჭრის რთული და წინააღმდეგობრივი გზა განვლო, განსაკუთრებით XX საუკუნეში. სხვადასხვა მოსაზრებებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად ყველგან ფიგურირებს განმავითარებელი შეფასების საჭიროება, რომელი სიტყვიერი შეფასების სახით სათავეს იღებს სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური შეხედულებებიდან და მიჩნეულია როგორც ბავშვის განვითარების მიღწეული დონის გაუმჯობესების საშუალება.
- განმავითარებელი შეფასებისთვის სიტყვიერ შეფასებასთან ერთად რეკომენდირებულია სხვადასხვა მეთოდი: „შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები“, „სწრაფი ჩანაწერი“, „ერთნუთიანი ესე“, „ერთწინადადებიანი რეზიუმე“, „დაუსრულებელი წინადადება“, „დაფიქრდი, დაწყვილდი, გაიაზრე“, „კითხვის დასმა“, „გამოსაძახებელი ჩხირები“, „ქვიზი“, „სიტყვის რუკა“, „თვითშეფასება“, „მოსწავლეთა ინტერესების შეფასება“, „შეფასების რუბრიკა“.
- დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში როგორც ჩატარებული კვლევა ადასტურებს, ძირითადად გამოყენებულია სიტყვიერი შეფასება „ყოჩაღ, აპლოდისმენტები, იშვიათ შემთხვევაში სმაილები.

- წარმატებულ პრაქტიკად მივიჩნით წლის ბოლო შემაჯამებელი შეხვედრა სადაც წარმოდგენილია საგნების მიხედვით რა შედეგისთვის უნდა მიეღწიათ, რას მიაღწიეს ან რა იყიან და რა შეუძლიათ ბავსვებს.
- კვლევის შედეგების მიხედვით მასწავლებლები ატარებენ განმავითარებელი შეფასების შესაფერის აქტივობებს.მათთან ჩატარებული ინტერვიუ ცხდყოფს, რომ საჭიროებენ დაზუსტებულ მეთოდურ რჩევებს და რეკომენდაციებს.
- ეფექტური გამოდგა შეთავაზებული მეთოდები (განმატებითი შეფასებითი კომენტარი, რჩევები, თვითშეფასების მოკლე ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა, გაუმჯობესების გზების ხედვა)
- სამომავლო პრაქტიკაში განმავითარებელი შეფასების ახალი ინსტრუმენტების დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამონაშვილი -1984 ამონაშვილი შალვა 1984-მოსწავლეთა შეფასების
2. აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქცია.
3. ბაგა-ბაღის აღმზრდელის სახელმძღვანელო 2005
4. გურგენიძე -1957-გურგენიძე მოსწავლეთა შემოწმებისა და შეფასების საკითხები.

5. გობრონიძე 200 ალექსანდრე -პედაგოგიკა.
6. კიკვაძე- 2009- კიკვაძე ირინა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება.
7. ლაბარტყავა-2014-ლაბარტყავა ნინი. რატომ არის მნიშვნელოვანი განმავითარებელი შეფასება. ინტერნეტ გაზეთი მასწავლებელი.
8. ლორთქიფანიძე -1983- ლორთქიფანიძე დავით დიდაქტიკა.
9. ლორთქიფანიძე დავით მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასება.
10. ბოჭორიშვილი-2013- ბოჭორიშვილი მანანა პედაგოგიკის საკითხები.
11. სწავლა და შეფასება - 2008 -ლ ტყემალაძე, ნ დალაქიშვილი და სხვა.
12. სწავლება და შეფასება -2008- დამხმარე სახელმძღვანელო
13. უზნაძე -1915- უზნაძე დიმიტრი სინათლის საზოგადოების ქალთა სწავლების ანგარიში.
 13. უზნაძე-2005 - უზნაძე დიმიტრი პედაგოგიური ტიხულებები.
 14. შეფასების ძირითადი პრინციპები, ტიპებიმეთოდი,ინსტრუმენტი-2009.
 15. შეფასების იერარქიული მოდელი 2014 - თბილისის მასწავლებელთა სახლის მასალები.
 16. სწავლების მეთოდები, სტრატეგიები პედაგოგიური, ტექნოლოგიური და ცოდნის შემოწმება შეფასების საკითხები -2016- ავტორთა ჯგუფი იმერი ბასილაძე და სხვა.
 17. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-24 წლები.
 18. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები -2014.
 19. სასკოლო სახელმძღვანელოები, დაწყებითი კლასები 2018.მასწავლებლის წიგნები დაწყებით კლასებში -2018-19.